გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

,, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ერთობლივ კომპანიებში''

სტუდენტი: თინათინ ღლონტი

ხელმძღვანელი: პროფესორი ბესიკ ალადაშვილი

თბილისი 2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია..... 3

ANNOTATION 5

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში..... 10

1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი..... 10

1.2. ეკონომიკური გლობალიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები..... 19

თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის..... 27

2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (2009-2018 წწ-ში)..... 43

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ერთობლივ კომპანიებში..... 53

3.1. ერთობლივი კომპანიების განვითარება საქართველოში..... 53

3.2. ერთობლივ კომპანიებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის როლი საქართველოში..61

დასკვნა 64

გამოყენებული ლიტერატურა 69

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხს, როგორიც არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ასევე ერთობლივი კომპანიები და მასში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებობის მნიშვნელობას.

ნაშრომში ცალ-ცალკეა გამიჯნული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ეკონომიკური გლობალზიაციის პირობებში, თავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი. ცალკე თავი ეძღვნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისთვის და წარმოდგენილია უფლებამოსილი ორგანოს - სტატისტიკის სამსახურის მიერ შეგროვებული ინფორმაცია კერძოდ დინამიკა ქვეყანაში.

ნაშრომში გათვალისწინებულია ერთობლივ კომპანიებზე ინფორმაცია, მათ შორის მისი განვითარება საქართველოში და საქართველოში არსებულ ერთობლივ კომპანიებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, მასთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენები. მაქსიმალურად ჩაშლილია ყველა თანმდევი პროცესი და ყველა ის პოზიტივი, რომელიც თან ახლავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

ნაშრომში ნახსენებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ქვეყნის სტაბილურობის, დემოკრატიის და მშვიდობის ერთ-ერთი მთავარი უზრუნველმყოფი მექანიზმი.

ნაშრომში ნახსენებია, საქართველოში ამჟამად მოქმედი წამყვანი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის შესახებ ინფორმაცია, მის როლსა და ფუნქციებზე ინფორმაცია

ასევე იმ მსხვილი ერთობლივი კომპანიების და პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მიმდინარეობს ან უკვე დასრულებულია.

ნაშრომის დასკვნაში წარმოდგენილია ავტორის პერსონალური დამოკიდებულებები და ხედვები, რეკომენდაციები და შენიშვნები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და მასში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის საჭიროებებზე და გასატარებელ ღონისძიებებზე.

ANNOTATION

Master's thesis is about main economic issue for Georgia, such as FDI, as well as joint companies and the importance of FDI.

In the paper, in one chapter is discussion about FDI in the context of economic globalization and the essence of FDI itself. Another chapter is dedicated to the importance of direct foreign investments for Georgian economy and the information collected by competent authority - statistics service, in particular “dynamics in the country”.

In the report we also have information about joint companies, their development in Georgia and role of FDI on joint companies which existing in Georgia, also their direct or indirect influence on it. There you can see mostly all the positive and leading results which bring FDI.

The paper mentions direct foreign investment, as one of the main provisions of the country's stability, democracy and peace.

In the report you can find information about currently leading state investment fund in Georgia, its role and function.

In the conclusion of the work is presented by the author's personal attitudes and views, recommendations and remarks on the economic development of the country and the need to increase foreign direct investment and the measures which should be taken for that.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა. ქართული სახელმწიფოს წინაშე არსებული რთული გამოწვევების გათვალისწინებით, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, უპრიანია ფართო მსჯელობა და ანალიზი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაკუთრებულ როლთან დაკავშირებით, აგრეთვე აქტუალურია ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში მსჯელობა და კვლევა ერთობლივ კომპანიებთან მიმართებით და მისი საქართველოში არსებობის დინამიკის სტატისტიკური დამუშავება, ასევე ფიქრი, უფრო და უფრო ხელსაყრელი და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით.

გადავწყვიტე ჩემი სამაგისტრო ნაშრომიც მიმეძღვნა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებისთვის, როგორიც არის ინვესტიციები, კერძოდ ჩემს სამაგისტრო ნაშრომში გადავწყვიტე წარმოვადგინო ჩემი ხედვები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლთან დაკავშირებით და ასევე წარმოვადგენ ჩემს მოსაზრებებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობასა და როლზე ერთობლივ კომპანიებში.

მსურს მცირე დრო დავუთმო ინვესტიციის, როგორც ტერმინის გაგებას. იგი ლათინური სიტყვიდან, კერძოდ ,,ინვესტირე''- დან მომდინარეობს, რაც პირდაპირი გაგებით ნიშნავს ,,შემოსვლას''. ამ ტერმინის სხვდასხვა გაგება გვხდება ლიტერატურაში, თუმცა ჩვენთვის საინტერესოა ამ დროისთვის მოტანილი მისი შინაარსი, რაც

ეტაპობრივად დაიხვეწა და შეივსო ეკონომიკური გაგებით. როგორც ცნობილია, ამ სიტყვის გამოყენება დაიწყეს სხვადასხვა საქმიანობის სფეროში, მისი ერთ-ერთი კლასიკური მნიშვნელობა კი კაპიტალის ხანგრძლივი დაბანდებაა რაიმე საქმიანობაში. ცხადია , დარგის ყველა წარმომადგენელს აქვს ამ ტერმინის მიმართ თავისებური ხედვა და განმარტება, თუმცა ყველა ერთ აზრამდე მივდივართ და მარტივად ვაცხადებთ, რომ ინვესტირება, ეს არის საქმიანობა, სადაც მწარმოებელი ყიდულობს ფიზიკურ აქტივებს, მაგალითად რაიმე აქციებს ან წარმოებისთვის იძენს საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც გრძელვადიან პერიოდში წინასწარ განსაზღვრულ ბიზნესს ეხმარება გახდეს მომგებიანი.

ვფიქრობ, უნდა ვახსენოთ ინვესტიციების სახეებიც მისი დაბანდების ადგილის მიხედვით, ამ მიზნით ნაშრომში წარმოვადგენ მის მეცნიერულ და თეორიულ გაგებას, რომლის მიხედვითაც ინვესტიციები იყოფა სამამულო და უცხოურ ინვესტიციებად. სამამულო ინვესტიციები არის კაპიტალის დაბანდება კონკრეტულ ქვეყანაში ამავე ქვეყნის რეზიდენტების მიერ, ხოლო უცხოურ ინვესტიციებს მიეკუთვნება უცხო ქვეყნის ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიერ კაპიტალის სხვა ქვეყანაში დაბანდება.

კვლევის მიზანი და ამოცანები. იმისთვის, რომ სრულფასოვნად ვიმსჯელოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ერთობლივი კომპანიების მნიშვნელობასა და როლზე იგივე ქართული ეკონომიკისთვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხოური ინვესტიციები ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი არსებითი გზაა, თუმცა ამ საკითხზეც არსებობს არაერთგვაროვანი გაგება, რაც ცალკე განხილვის თემაა. პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკური მოღონიერებისთვის ქვეყნის ინსტიტუციების მხრიდან გადადგმულ იქნას სწორი ნაბიჯები და ამ ნაბიჯების კვალდაკვალ ინსტიტუციებმა ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ რეჟიმში იზრუნონ ეკონომიკური უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციის ფორმირებაზე, რომელიც ჩვენს სახელწმიფოში

დღემდე მიშვებულია თვითდინებაზე, რაც ხელს უწყობს უცხოურ ინვესტიციებზე კრიტიკულად განწყობილი ელექტორატის წისქვილზე წყლის დასხმას.

პირადად ჩემთვის, უცხოური ინვესტიცია ზრდის ქვეყანაში არსებული კაპიტალის მარაგს, რაც უფრო მაღალ მწარმოებლურობას უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ პირდაპირი გარანტიაა დასაქმების მაღალი დონის შესაქმნელად. თავის მხრივ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებ აქვს ბევრი სახარბიელო მხარე, მათ შორის ისიც, რომ განვითარებად ქვეყნებში ამ გზით შესაძლებელია მოხდეს ინოვაციებსა და უახლეს ტექნოლოგიებზე პირდაპირი წვდომა და მათი დანერგვა, რაც უპირობოდ არსებითი საფუძველი და მექანიზმია მეტი რენტაბელურობისთვის.

თუკი ვთანხმდებით, რომ ინვესტიციებზე დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და დასაქმების აქამდე დაუძლეველი პრობლემის დარეგულირება, ვფიქრობ, ყველა ნაბიჯი უნდა იქნას გადადგმული საინვესტიციო პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად ფორმირებისთვის, რამაც მასტიმულიზირებელი ეფექტი უნდა მოახდინოს ქვეყანაში არარეზიდენტი, პოტენციური ინვესტორების დაინტერესებაზე და მათთვის მისაღები რეგულაციების და ადმინისტრირების მოდელების შექმნაზე.

აუცილებელია ვფლობდეთ სწორ ინფორმაცია უცხოური ინვესტიციების ფორმებთან მიმართებითაც, რომლის მიხედვითაც უპი - ები იყოფა შემდეგ სახეობებად, ესენია: ე.წ. გრინფილდი, ბრაუნფილდი, ,,შერწყმა'' , რომელსაც ხშირად ,,შთანთქმადაც'' მოიხსენიებენ, ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახეობები და ერთობლივი საწარმოები, თუმცა ამ საკითხებზე მე ინფორმაციას თეორიულ მასალაზე დაყრდნობით ჩავშლი ნაშრომის სხვა ნაწილში.

მიზნების და ამოცანების განუყოფელ ნაწილად მივიჩნევ მეტ ინფორმაციას და სიზუსტეს **ერთობლივ საწარმოებთან მიმართებით.** იგი უპი-ების განხორციელების ერთ-

ერთი ფორმაა, რომლის დროსაც ორი ან მეტი კომპანია იწყებს ბიზნეს საქმიანობას და თანხმდება, გაინაწილონ მოგება და ზარალი. ერთობლივ კომპანიებში საკუთრება 50/50-ზე ნაწილდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ჰყავს ორი მფლობელი, რომლებიც ფირმის 50-50 პროცენტს ფლობენ. ერთობლივი საწარმოს უპირატესობაა პარტნიორისაგან შეძენილი გამოცდილება და რისკებთან დაკავშირებული დანახარჯების განაწილება, ხოლო ძირითადი ნაკლოვანებაა ლიცენზირების შემთხვევაში საკუთარ ტექნოლოგიებზე სრული კონტროლის დაკარგვა.

როცა ვსაუბრობთ მიზნებზე და ამოცანებზე, მთელი სიზუსტით უნდა ვიცოდეთ, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს და თავისი წვლილი შეაქვს მიმღები ქვეყნის ზოგადად მწირი კაპიტალური რესურსების შევსებაში და ამავდროულად ის არ წარმოშობს საერთაშორისო ვალს. ასეთ პირობებში გაგვიადვილდება სწორი წარმოდგენების ჩამოყალიბება.

თეორიულად და პრაქტიკულადაც პრაქტიკაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: სრულიად ახალი საწარმოს შექმნის გზით, საწარმოების შერწყმით და გაერთიანებით, ხელახლა ინვესტირებული შემოსავლით, კომპანიათაშორის სესხებით და კომპანიის საქმიანობაში უცხოური მონაწილეობის არაპირდაპირი ფორმით. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი მახასიათებლები:

1. შესწევს უნარი არსებითი წვლილი შეიტანოს ინოვაციების და ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებაში და ზოგადად მასთან წვდომაში;
2. ქვეყანაში იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ასევე, აქვს შესაძლებლობა კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს იგივე საკადრო რესურსების განვითარებაში; მარტივად, რომ ვთქვათ, პროფესიონალიზმის ხარისხის პროგრესში;

3. არსებითად უწყობს ხელს წარმოებას, ექსპორტს და ქვეყნის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას;

4. ინვესტორს / ეკონომიკურ აგენტს აძლევს საწარმოს მართვის და მასზე კონტროლის სრულ უფლებას;

5. და სხვა.

სწორედ კვლევა ცხადჰყოფს, რომ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს შეუძლია გაზარდოს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის საწარმოო პოტენციალი და პროდუქტიულობა სხვადასხვა განვრცობითი ეფექტებით.

კვლევის მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად ჩემს მიერ გამოყენებულია ქართული და უცხოური ლიტერატურა, მათ შორის ინტერნეტის საძიებო სისტემაში არსებული თეორიული და პრაქტიკული მასალები, როგორიც არის უფლებამოსილი და კომპეტენტური ორგანოს მიერ შექმნილი სტატისტიკური მონაცემები და სხვა.

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში

1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმი ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესისთვის.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში მისი განსკაუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე , სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

აუცილებელია ვფლობდეთ სწორ ინფორმაცია უცხოური ინვესტიციების ფორმებთან მიმართებითაც, რომლის მიხედვითაც უპი - ები იყოფა შემდეგ სახეობებად, ესენია: ე.წ. გრინფილდი, ბრაუნფილდი, ,,შერწყმა'', რომელსაც ხშირად ,,შთანთქმადაც'' მოიხსენიებენ, ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახეობები და ერთობლივი საწარმოები, თუმცა ამ საკითხებზე მე ინფორმაციას თეორიულ მასალაზე დაყრდნობით ჩავშლი ნაშრომის სხვა ნაწილში.

გრინფილდი ანუ იგივე ე.წ. ,,მწვანე ველის'' ინვესტიცია ეს არის უპი-ის ერთ-ერთი ნაირსახეობა, როცა ინვესტიციები მიმართულია უცხო ქვეყანაში ახალი საწარმო სუბიექტების შესაქმნელად ან უკვე არსებული ობიექტების გაფართოებისაკენ. ამ დროს მსხვილი კომპანიები შედიან განვითარებადი ქვეყნის ბაზარზე და იქ აწარმოებენ ქარხნების და მაღაზიების მშენებლობას. მიმღებ ქვეყანაში ამ გზით იქმნება გრძელვადიანი დასაქმების ადგილები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ სახის ინვესტიციას თან სდევს შემდეგი გარემოებაც, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ამ დროს პრაქტიკულად იძულებული არიან ეკონომიკურ სუბიექტს შესთავაზონ დაბალი გადასახადები, ამასთან ერთად ხშირ შემთხვევაში ისინი ახორციელებენ სუბსიდირებასაც, რათა სტიმული მიეცეს მათ ქვეყანაში ამ ტიპის ინვესტიციის გაჩენას. ამ დროს ამ ქვეყნის ინსტიტუციების გათვლა არის ის, რომ გაჩნდეს მეტი დასაქმების ადგილი თუნდაც მცირე იყოს საგადასახადო შემოსავლები. ამ ტიპის ინვესტიციებს ცხადია აქვს ბევრი მინუსი, თუნდაც ის, რომ ხდება ადგილობრივი წარმოების ბაზრიდან განდევნა, ვინაიდან ისინი საქმიანობას ახორციელებენ პრაქტიკულად სასათბურე პირობებში და მათი საქონელი თუ

სერვისი ბევრად იაფია, ვიდრე ადგილობრივი სხვა მწარმოებლების მიერ მიღებული პროდუქტი, რომელიც კონკურენციას ვეღარ უწევს მათ და იძულებული ხდებიან დატოვონ ბაზარი.[1]

საინტერესო მოდელია ბრაუნფილდ ინვესტიცია, ამ დროს ხდება ადრე აშენებული ქარხნების ან სხვა დაწესებულებების შეძენა იმ მიზნით, რომ იგი უკვე სხვა საქმიანობისთვის იქნას გამოყენებული. ამის მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ არაერთი ქეისი, როცა სახელმწიფომ პრივატიზება განახორციელა არაერთი ობიექტის და ამ ობიექტებს მიეცა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის ფუნქცია.

,,შერწყმა" და ,,შთანთქმა" უპი-ების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ორი ან მეტი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ერთიანდება და წარმოიქმნება ერთი ბიზნეს სუბიექტი. გაერთიანების შემდეგ კომპანიები აღარ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულებს. ერთი ფირმის აქტივები და ვალდებულებები გადაეცემა მეორეს. შერწყმა შეიძლება მოხდეს თანაბარი ზომის და საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებს შორის. საქართველოს კანონმდებლობით შერწყმაში იგულისხმება იურიდიული პირის რეორგანიზაცია, რომლის დროსაც თითოეული მათგანის უფლებები და მოვალეობები გადადის ახლად შექმნილ იურიდიულ პირზე გადასაცემი აქტის შესაბამისად.

შთანთქმა გულისხმობს უფრო დიდი სუბიექტის მიერ შედარებით მცირე ზომის კომპანიის შეერთებას, ასეთი ტიპის გარიგებას ძირითადად მტრული ხასიათი აქვს.

ჰორიზონტალური ინვესტიციები უპი-ების ისეთი ფორმაა, როდესაც ტეკ-მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციები მიემართება იმავე დარგში, რომელშიც საქმიანობს კომპანია ბაზირების ქვეყანაში. ჰორიზონტალური უპი-ები ეფუძნება ორი ძირითადი ფაქტორის არსებობას: დადებითი სავაჭრო დანახარჯებისა და ფირმათა

[1]ჯღანჯღავა ქ., ,,უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)", თბ., 2012

დონეზე მასშტაბის ეკონომიას. აღნიშნული სახის ინვესტიციების ძირითადი მიზანია თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები და მიიღოს იოლი წვდომა საგარეო ბაზრებზე.

ვერტიკალური ინვესტიციები არის უპი-ების ისეთი ფორმა, როდესაც ტეკ-ები წარმოების პროცესს ყოფენ რამდენიმე ეტაპად, განათავსებენ ფილიალებს სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წარმოების შიდა პროცესს. აღნიშნულ მოდელს საფუძველი ჩაუყარა ჰელფენმა და კრუგმანმა, თავდაპირველად გამოკვლევები მიმართული იყო კომპანიების საქმიანობის საზღვარგარეთ გაფართოებისაკენ, რადგანაც არსებობდა განსხვავება წარმოების ფაქტორთა მოცულობაში. ჰელფენმა პირველმა ახსნა, რომ ტეკ-ები წარმოებიდან ეკონომიას იღებენ ვერტიკალურად ინტეგრირებული წარმოების არსებობით, რომელიც გამოყოფს მაღალკვალიფიციური მუშახელის საქმიანობას დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელის საწარმოო საქმიანობისაგან.

გამოყოფენ ვერტიკალური უპი-ების ორ ფორმას: 1. რეგრესული ვერტიკალური უპი-ები ისეთი სახის ინვესტიციაა, როდესაც საზღვარგარეთ არსებული საწარმო აწარმოებს ნედლეულსა და მასალებს და აწვდის სათავო ფირმას. 2. პროგრესული უპი-ების დროს კი ტეკ-ები ფილიალებს სხვადასხვა ქვეყანაში განათავსებს და წარმოების ფაქტორებს გადასცემს მათ შიდა წარმოების პროცესის უზრუნველსაყოფად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკუთრების ფორმის მიხედვით შესაძლებელია დაიყოს 4 კატეგორიად:

1. კერძო - ოჯახური მეურნეობის ან/და კერძო პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია;
2. სახელმწიფო - ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია;

3. უცხოური - ქვეყნის გარედან შემოსული ინვესტიციების ნაირსახეობა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც უცხო ქვეყნის მთავრობის, ასევე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ;

4. შერეული - კერძო, სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციების ერთიანობა.

ვფიქრობ, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ოთხივე კატეგორიის ინვესტიციის წახალისება.

ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

ჰორიზონტალური უცხოური ინვესტიციები გულისხმობს ინვესტორის მიერ სხვა ქვეყანაში სახსრების დაბანდებას მსგავსი ან იმავე ტიპის პროდუქტის საწრამოებლად, რომელსაც ის სამშობლოში აწარმოებს. ძირითადად ამ საქმიანობას ახორციელებს ის კომპანიები, რომლებმაც საკუთარ სამშობლოში და ბაზრებზე გაიმყარეს საფუძვლები და თავიანთი იმიჯით და რეპუტაციით სურთ ახალ ბაზრებზე გადასვლა.

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს პროდუქციის წარმოებისადმი ისეთ მიდგომას, როცა წარმოების სხვადასხვა ფაქტორები, შესაძლებელია განთავსებულ იქნას სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად: კაპიტალინტენსიური წარმოების ნაწილის განლაგება კაპიტალით მდიდარ და შესაბამისად ამ რესურსთან წვდომის მარტივი შესაძლებლობის მქონე ქვეყანაში / ბაზარზე.

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია დაიყოს ორად:

1. უკუ - ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ძირითადად ხორციელდება ნატურალური რესურსების ათვისების მიზნით, იმ კომპანიების მიერ, რომლებიც სექტორში მომძლავრებული არიან და ფლობენ ისეთ რესურსებს, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიები ან/და უხვი ფინანსური რესურსი;

2. ვერტიკალის მიმდევარი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ეს კი გულისხმობს ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ბერკეტების ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობას იმის გათვალისიწნებით, რომ ისინი ურთიერთჩანაცვლებადია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საინვესტიციო რესურსების ხასიათის მახედვით სამ კატეგორიად იყოფა:

1. **რეალური ინვესტიციები** - წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული კაპიტალდაბანდებები;
2. **ფინანსური ინვესტიციები** - ფულადი სასხრების დაბანდება კერძო თუ სამთავრობო ფასიან ქაღალდებში;
3. **ინტელექტუალური ინვესტიციები** - კაპიტალის დაბანდება მეცნიერულ გამოკვლევებში, თანამშღომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისთვის, ისტორიული თვალსაზრისით არც თუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გაანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ეს გამოწვევა განსაკუთრებით კი განვიტარებადმა ქვეყნებმა აიტაცეს, რადგანაც ზუსტად ამ ტიპის ქვეყნებშია მინიმალურ დონეზე შიდა დანაზოგები, რომელიც ინვესტიციური შიმშილის დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქვეყანა ამ ე.წ. ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნეს სექტორისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა). მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა რომელიმე ქვეყანას კონკრეტულ მომენტში გარკვეული ფინანსური დახმარება ინვესტიციის სახით, როგორც წესი ისინი ავდილად თანხმდებიან და მიესალმებიან კიდეც საერთაშორისო

ორგანიზაციების დახმარებას, მათ შორის სესხებსაც კი, რადგანაც ამ ფულად სახსრებს, როგორც წესი თავად ფულად რესურსებზე ბევრად მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური აქტივები მოჰყვება, როგორიც არის ცოდნა და თანამედროვე ტექნოლოგიები.

საერთაშორისო ორგანიზაციებზე მეტად ტექნოლოგიურ სიახლეებს ამა თუ იმ ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციები ნერგავენ, რომლებიც, ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ შესწევთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარმოებლურობა და წაახალისონ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.

ინვესტიციებიდან განსკაუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რადგანაც დიდწილად, სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში. განსკაუთრებით კი მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ ეკონომიკის სტაბილურად და იაფი სესხით მომარაგება შეძლოს.

ცნობილი შვედი ეკონომისტი მ. ბლომსტორმი ამტკიცებს, რომ პირაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისთვის. მათ უჩნდებათ შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩინდნენ.

საერთო ჯამში, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ინვესტიციებიდან მირებული დადებით ეფექტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შედეგად ტექნოლოგიური გადაიარაღება, მათ შორის ნოუჰაუ-ს გამოყენება, დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდა, ადგილობრივი მონოპოლიების მოსპობა, საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივებიდან და შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე, მეცნიერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელ ორი ტიპის ეფექტს გამოყოფენ, კერძოდ, შემთხვევას, როცა უცხოური ინვესტორები ინვესტიციების ამა თუ იმ ქვეყანაში ახორციელებენ, შემდეგ ქირაობენ ადილობრივ კადრებს და ასწავლიან მათ ახალ ტექნოლოგიების, მარკეტინგული ტექნიკის და სხვა სიკეთეების გამოყენებას. ამ ეფექტს ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი ეწოდება (Horizontal Spillover Effects). ამ ეფექტის მიღება, როგორც წესი, ბენეფიციარი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თუმცა ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი, შესაძლოა როგორც დადებითი ისე უარყოფითი იყოს.

ჰორიზონტალური გადადენისგან განსხვავებით, ვერტიკალური გადადენის ეფექტი (Vertical Spillover Effects) უცხოელი ინვესტორების მხრიდან ადგილობრივებისათვის უპირატესობის გაზიარებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი ეკონომიკის ერთი დარგის განვითარებით სხვა დარგების განვითარების წახალისებას მოიაზრებს.

თანამედროვე პერიოდში განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო და უფრო მეტად არიან დაინტერესებული უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებთან მიმართებით და ცდილობენ უფრო ხელსაყრელი პოლიტიკა აწარმოონ. მე- 20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყნების დიდმა ნაწილმა აქტიურად დაიწყო უპი-ების რეჟიმის ლიბერალიზაცია, რამდენადაც უპი-ები ასოცირდება ეკონომიკის განვითარების პოზიტიურ შედეგებსა და სიღარიბის დონის შემცირებასთან. რეალურ პრაქტიკაში, უპი-ების მოზიდვის შესაძლებლობები და მათი მიღებით განპირობებული შედეგები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ლიბერალიზაციამ და თანამედროვე ტექნოლოგიურმა სიახლეებმა ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე უპი-ების ნაკადების ზრდა გამოიწვია. თუმცა ბევრმა ქვეყანამ, მიუხედავად ლიბერალური საინვესტიციო რეჟიმის არსებობისა, არცთუ წარმატებით შეძლო ინვესტიციათა მოზიდვა.

დღეისათვის ქვეყნები თითქმის იძულებულნი არიან, კარგახსნილი იყვნენ უპი-თან მიმართებით, რამდენადაც თანამედროვე პირობებში ინდუსტრიული სიმძლავრეების მშენებლობა შეუძლებელია კარჩაკეტილ ეკონომიკაში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქვეყნებს ჰყავთ ისეთი ეფექტიანი მთავრობები, როგორიც არის კორეაში.

მიმღები ქვეყნისათვის არსებობს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის პასიური და აქტიური პოლიტიკა:

1. უპი-ების მოზიდვის პასიური პოლიტიკის განხორციელებისას მთავრობები აქტიურად ეძებენ უპი-ების ნაკადებს, მიუხედავად მათ ქვეყანაში ისეთი შეფარდებითი უპირატესობის არსებობისა, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა, დაბალი შრომის დანახარჯები, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბაზა, რომელთა დახმარებითაც რეგულირდება უპი-ების ნაკადები.

2. უპი- ების მოზიდვის აქტიური პოლიტიკის განხორციელებისას მიმღები ქვეყნები ინვესტიციების მოზიდვის პროცესში ძირითადად ეფუძნებიან არა მარტო მასპინძელ ქვეყანაში შეფარდებითი უპირატესობის არსებობას, არამედ გამჭირვალე საკანონმდბელო ბაზას, მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ინტელექტუალურ საკუთრებას, კერძო უცხოელი ინვესტორების დაცვას. სტრუქტურა აგებული უნდა იყოს ქვეყნის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, რომელიც უკავშირდება მათი ეკონომიკის პოზიტიურ განვითარებას, მიღებულს ინვესტიციების გარკვეული ოდენობის შემოდინებით.

ინვესტიციების მოზიდვის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მასპინძელი ქვეყნის შერჩეული სტრატეგია, რომელიც სთავაზობს პოტენციურ ინვესტორებს სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობებს, რომელიც შეესაბამება იმ ტეკ-ების მოთხოვნებს, რომლებიც საბოლოო ჯამში გახდებიან მიმღები ქვეყნის პირდაპირი ინვესტორები.

რეციპიენტ ქვეყანას შესაძლოა დასჭირდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომისა და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, ნედლეულსა და მომსახურების კვალიფიციური მიმწოდებლების

ხელმისაწვდომობა, რომლებიც მოემსახურებიან ტეკ-ებს საქმიანობის პროცესში. უცხოელი ინვესტორების აღნიშნული მოთხოვნების გაანალიზება და გაგება განმსაზღვრელი ფაქტორია უპი-ების აქტიური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

აქტიური პოლიტიკის კონსტრუქციისთვის აუცილებელია მიმღები ქვეყნის მთავრობის მიერ გრძელვადიანი სტრატეგიის გეგმის შემუშავება, იმისთის, რომ განხორციელდეს სხვადასხვა სტრუქტურული რეფორმები და აქედან გამომდინარე, ინვესტიციების მოსაზიდად გაუმჯობესდეს მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და მიმზიდველობა.



ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად ეკონომიკური პოლიტიკის გატარება საკმარისი პირობა არ არის, რომელმაც უნდა შექმნას სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა. გარდა ამისა, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც გააძლიერებს დემოკრატიას, დაამყარებს წესრიგს და შექმნის თანმიმდევრულ ინსტიტუციურ სტრუქტურას, რაც სინქრონულად დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკასთან, ბაზარსა და პრაქტიკასთან. მთავრობების თანმიმდევრული

ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნისას გაორმაგებული მუშაობა უწევთ ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკური გამჭირვალობა, კორუფციული დონის დაბალი მაჩვენებელი, ბიზნეს გადაწყვეტილებების კანონმდებლობის მიღება, უფლებების დაცვა, ეს ყველაფერი უცხოელ ინვესტორს უქმნის პირობას, ნდობით განეწყონ და ზრდის უპი-ების მოზიდვის შანსებს.

1.2. ეკონომიკური გლობალიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები თანამედროვე პერიოდში გვევლინება ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ეკონომიკურ ლიტერატურაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განიხილება, როგორც ფუნდამენტური ნაწილი ღია და წარმატებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისა და მისი განვითარების ძირითადი მექანიზმი.

გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალზე წვდომის საშუალებით. შესაბამისად აღნიშნულ პროცესთან ერთად გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უცხოელ ინვესტორებს აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს, ხოლო ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოების და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს.

ბოლო ათწლეულში განვითარებადმა ქვეყნებმა განახოციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან ინვესტიციების მოზიდვა განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდის და დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად.

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის შესაძლოა უარყოფითი შედეგიც ჰქონდეს. ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ პირდაპირი უცხოურ ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი გავლენა მიმღებ ქვეყანაზე.

ეკონომიკა და საგარეო ვაჭრობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლაინი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშირად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და პროგრესული მენეჯმენტი გლობალურ ბაზრებზე ასეთი ტიპის წარმოების თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

გადადინებს ეფექტები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაში სხვა სექტორებზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური

გადადინების ეფექტია. ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ პროდუქტიულობის ზრდა თანამედროვე, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე ზრდის ადგილობრივი კომპაიების საწარმოო ინიცატივებს.

კონკურენციის დონე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

ადგილობრივი ინვესტიციების გამოძევების ეფექტი. უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვის გამო კი ადგილობრივი მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოციულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება. მაგრამ თუ ინვესტიცია არის საექსპორტო წარმოებაზე მიმართული მაშინ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს.

ზოგადად ადგილობრივი ინვესტიციის გამოდევნა ორი ძირითადი მიზეზის გამო ხდება: პირველი, როდესაც ადგილობრივი ფირმები ქრებიან უცხოელი კონკურენტების მაღალი პროდუქტიულობისა და ხარისხის გამო და მეორე, უცხოელი კონკურენტების მიერ ფინანსურ რესურსებზე და გარე ბაზრებზე უკეთესი წვდომის გამო. პირველ შემთხვევაში წმინდა ეფექტი ქვეყნისთვის დადებითია, რადგან ბაზარზე რჩებიან მაღალი პროდუქტიულობის და ხარისხის ფირმები. მაგრამ მეორე შემთხვევაში ჩნდება სოცილაური დანაკარგი, რომლის აღმოფხვრაც ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარებით ხორციელდება.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პირდაპირ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, მას საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს მიმდინარე ანგარიშზე. უცხოელი ინვესტორის მთავარ მიზანს ინვესტიციიდან მაქსიმალური მოგების მიღება წარმოადგენს. ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ზოგიერთი უპირატესობა (იაფი მუშახელი, ბუნებრივი რესურსები და სხვა) საშუალებას აძლევს ინვესტორს წარმატებული ბიზნესი აწარმოოს. მიღებული შედეგი კი ხშირად გადის ქვეყნიდან განაწილებული მოგების სახით, რაც საგადასახდელო ბალანსზე უარყოფით გავლენას ახდენს. გარდა ამისა უცხოური ინვესტიციები ხშირად ახალისებს იმპორტს და თუ არ არის მიმართული საექსპორტო პროდუქტის წარმოებაზე მაშინ გააუარესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.2

მიუხედავად განხილული ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტებისა ითვლება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად სარგებლობენ განხორციელებული ინვესტიციებისგან. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია თავისთავად არ წარმოადგენს უპირატესობას ან ნაკლოვანებას, მისი დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღებ ქვეყნაზე.

ჩემი შეფასებით ეკონომიკური გლობალიზაცია ეს არის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროცესი, როცა ხორციელდება მსოფლიო მასშტაბით შექმნილი საწარმოო პრაქტიკის და ზოგადად გამოცდილების გაცვლა-გაზიარების პროცესი, ის თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყნებს შორის კავშირების ამაღლებას, ხშირად კი კონტინენტებს შორის

[2] გერაძე რ., ,, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი შედეგები“, თბ., 2016.

ურთიერთობის გაღრმავების არქიტექტორადაც გვევლინება. გლობალიზაცია მე-20 საუკუნის დასაწყისში ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად აღმოცენდა, თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ მას პირველ ეტაპზე მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა და საერთო ბაზრების ფორმირებას, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას და გაადვილებას ნიშნავდა, დღეს გლობალზიაცია თვითონ ტერმინი გამოყენებულია უფრო ფართო გაგებით, თუმცა ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გაგება, მაინც ეკონომიკური გაგებაა, ვიანიდან ეკონომიკური ურთიერთობები ბევრად მეტია ვიდრე სხვა ნებისმიერი.

ეკონომიკური გლობალიზაციის პირდაპირი შედეგია ისიც, რომ საქართველოში შეგვიძლია შევიძინოთ ნებისმიერ ქვეყანაში წარმოებული ნივთი ან სერვისი, დავაგემოვნოთ იაპონური სუში ან იტალიური პიცის რომელიმე ნაირსახეობა, ავაშენოთ საცხოვრებელი კორპუსი ან სასტუმრო კომპლექსი ესპანეთში ან ვფლობდეთ რომელიმე წამყვანი ბრენდის აქციებს.

გლობალიზაცია მრავალწახნაგობრივი მოვლენაა, სწორედ ამიტომ, მას ჰყავს ჩემსავით ოპტიმისტურად და სხვებივით სკეპტიკურად განწყობილი პირები. მე გლობალისტების მსგავსად ვიზიარებ აზრს, რომ იგი ურიცხვ ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს ადამიანებს, რომლებიც ვიღებთ ამ გამოწვევას, იგი განსკაუთრებით მნიშვნელოვანი პოტენციის მქონე ისეთი განვითარებადი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა და ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მეწარმეები. მარტივი წარმოსადგენია, რომ ამ პირობებში ჩვენ და ჩვენს მეწარმეებს აქვთ მეტი შესაძლებლობა წარსდგნენ საერთო ბაზრებზე, იქ არსებული ერთიანი რეგულაციების და წესების პირობებში.

გლობალიზაციის პირდაპირი დამსახურებაა შრომის ბაზრების გახსნა, თუ ამას ჩვენ გავიგებთ იმ რეალობით, რომელიც ჩვენს ქვეყანას დღეს განსკაუთრებით მძიმე გამოწვევად უდგას და პერიოდულად თავს გვახსენებს ევროკავშირის წინაშე არსებული

ვალდებულებები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, ეს განსხვავებულ მოცემულობამდე მიგვიყვანს, მე ვსაუბრობ კლასიკური გაგებით შრომითი ბაზრის გახსნას, როცა საუბარია ლეგალურ დასაქმებაზე და არა შრომითი მიგრაციის დღევანდელ მოცემულობაზე.

გლობალიზაციის შედეგად, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო ხშირია მსხვილი ინვესტორების შემოსვლა, ეს მოვლენა კი ქვეყანას ახალ სამუშაო ადგილებს და ეკონომიკის განვითარების რეალურ შანსს აძლევს.

აღსანიშნავია, რომ გლობალზიაცია იძლევა მეტ შესაძლებლობას იდეების და ინციიატივების გაცვლისთის, მაღალი დონის განათლების მიღებისთვის, თუმცა ეს თავის თავში არ ნიშნავს მხოლოდ ამა თუ იმ განვითარებადი ქვეყნის წარმატებას, იგი თავის მხრივ მნიშვნელოვანი საქმეა კაცობრიობის წინსვლისთვის.

თანამედროვე ინტერნეტ ხანის პირობებში დღესდღეისობით აუცილებელი აღარ არის გლობალზიაციის სიკეთეებზე წვდომისთვის ფიზიკური გადაადგილება, რაც ნიშნავს, რომ უფრო და უფრო რეალისტური და ხელმისაწვდომი ხდება წვდომა მეტ სიკეთეზე და განვითარების შანსებზე. სწორედ ამ პირობებში ხდება იაფად ხელმისაწვდომობა განათლების მიღებაზე და ინოვაციებში ჩართვაზე.

ეკონომიკური გლობალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ბიზნეს კავშირები და პერსპექტივები როდია, იგი ხელს უწყობს ერებს შორის კავშირის განმტკიცებას, ამ პროცესში ხდება ერებს შორის ურთიერთობა, პირდაპირი ან არაპირდაპირი კომუნიკაცია, სადაც ხდება ერთმანეთის კულტურის გაზიარება, რასაც საბოლოო ჯამში ტოლერანტობის კულტურის განვითარებამდეც მივყავართ. ბევრჯერ მინახავს საერთაშორისო ბიზნეს ფორუმები, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი და დრო ეთმობა მონაწილე ქვეყნების კულტურის და ხელოვნების წარმოდგენებს.

ისეთი კომპლექსური მოვლენა, როგორიც არის ეკონომიკური გლობალიზაცია, ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი ვერ იქნება, მიუხედავად გლობალისტების თუ ანტიგლობალისტების მეტ-ნაკლებად დასაბუთებული პოზიციებისა. ამ დროს საჭიროა ყველამ რაციონალურად და ობიექტურად გაანალიზოს მოცემულობა, სადაც ისინი ცხოვრობენ და ათწლეულების მანძილზე უწევთ რთულ პირობებში ყოფნა და უნდა მოხდეს ზუსტი შეფასება, რა შესაძლებლობებს გვთავაზობს ეს პროცესი.

არსებობს ერთი საინტერესო შედარება და მეც მსურს გამოვიყენო იგი სამაგისტრო ნაშრომში. მაგ.: ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ინტერნეტის განვითარება დადებითი მოვლენაა, თუმცა სწორედ ინტერნეტის განვითარებამ გაუხსნა ახალი შესაძლებლობები დანაშაულებრივ სამყაროს და ტერორიზმს, თუმცა ფაქტია, რომ ამის გამო ინტერნეტის აკრძალვა არცერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს აზრადაც არ მოსვლია.

შეგვიძლია დასაბუთებულად განვაცხადოთ, რომ ეკონომიკური აქტივობების სიმრავლე, განსაკუთრებით კი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესს და გლობალიზაციის ძირითად მიმართულებებს ამყარებს. ძირითად მიმართულებებში კი შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მიმართულებები:



გლობალიზაციის 4 გამოყოფილი მოდელია: ნეოლიბერალური, ამერიკული, გაეროს და ევროპული მოდელი.

ნეოლიბერალური მოდელი ითვალისწინებს: ვაჭრობას და ფასების ლიბერალიზაციას, სამეწარმეო საქმიანობის დარეგულირებას, სახელწმიფო-სამეწარმეო ფუნქციების შემცირებას, მკაცრად განსაზღვრულ ფისკალურ პოლიტიკას და ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ამერიკული მოდელი გულისხმობს ეკონომიკის ამერიკანიზაციას, ამერიკული კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციას.

გაეროს პროექტი კი გულისხმობს, რომ გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში წამყვანი როლი უნდა ითამაშოს გაერომ, რადგან მას თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე აკისრია პრობლემების ევოლუციური, არაძალადობრივი, დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა. 1999 წელს გაეროში შემუშავებულია პროექტი ,, გლობალური შეთანხმება'', რომელიც მზადაა თანამშრომლობისთვის საქმიან სამყაროსთან

გლობალური პასუხისმგებლობის საფუძველზე. თავის მხრივ კი ეს პასუხისმგებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ ფუძემდებლურ პრინციპებს და მის დაცვას, რომელიც საფუძვლად უდევს გაეროს საქმიანობას. ეს პრინციპებია სწორედ სამოქალაქო უფლებები და სამართლიანობის ნორმების დაცვა შრომითი ურთიერთობების დროს, გაერთიანებათა თავისუფლება, კოლექტიური გარიგებების უზრუნველყოფა, ყველა სახის ძალადობის და დიკსრიმინაციის გამორიცხვა შრომითი ურთიერთობის დროს და ა.შ. ამ საფუძვლებს ხშირად უწოდებენ გლობალიზაციას ,,ადამიანური სახით''.

ევროპული მოდელი ითვალისწინებს მონაწილე ქვეყნების შესვლას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველზე, როემლიც გულისხმობს საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალ მოძრაობას, აგრეთვე ეროვნული მთავრობების უფლებების გადაცემას ზენაციონალური სტრუქტურებისთვის. ამ შემთხვევაში გლობალიზაცია ემყარება ისეთ გეოპოლიტიკურ სტრუქტურას, როგორიცაა ევროკავშირი.

მართლაც, რომ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია გლობალიზაციისთვის საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა. ექსპორტის დროს ადგილობრივი მწარმოებლები უცხოურ ბაზრებზე ხდებიან სრულად დამოუკიდებელი, ხოლო იმპორტის დროს ადგილობრივი ბაზრები დამოკიდებული ხდება უცხოელ მწარმოებლობაზე. ტექნოლოგიებმა, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკის გლობალიზაციაში.

თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის

საქართველოში დანაზოგების დონე არ არის მაღალი, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაიზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანაზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას. ამასთან უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს. ხშირ შემთხვევაში უცხოურ ინვესტიციას ცოდნა, გამოცდილება, ტექნოლოგიების და ცნობადობა მოჰყვება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოს წინაშე არსებული მწვავე გამოწვევების დასაძლევად და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად.

საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის პრაქტიკულად არ არსებობა. ასევე, საკმაოდ ლიბერალური სავიზო რეჟიმი (90-მდე ქვეყნის მოქალაქეს უვიზოდ შემოსვლა შეუძლია და ძირითადად ნაწილს 1 წლამდე თავისუფალი გადაადგილების უფლებამოსლება გააჩნია.

2005 წლიდან საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა, რომლის გაცხადებული მიზანი ლიბერალური საინვესტიციო გარემოს მხარდაჭერაა. ამ მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსი უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს მნიშვნელოვან შეღავათებს თავაზობს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებები, რომლებიც დადებულია ქვეყნის ძირითად სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებთან. ქვეყანაში ინვესტირების მოცულობის ზრდა და მის მიმართ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები ჩვენი ქვეყნის აქტუალურ საკითხთა რიგს მიეკუთვნება. ქვეყნის საგადასახადო კოდექსში ასახული პოლიტიკა ქმნის სტიმულებს დაზოგვისა და ინვესტირებისათვის, ხოლო უცხოელ ინვესტორთათვის შექმნილი დამატებითი შეღავათები ამ უკანასკნელის ზრდის ძირითადი

ფაქტორია სხვა თანაბარ პირობებში. 2005 წლიდან საქართველოში სახეზე გვაქვს ერთის მხრივ საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, ხოლო მეორეს მხრივ ამ პერიოდიდან მოყოლებული ფიქსირდება ინვესტიციების მოცულობის ზრდა. ეკონომიკურ კვლევებში არის აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორია საგადასახადო საკითხები ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების მოცულობის ზრდისათვის, ეს განსაკუთრებით ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვას

საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება სჭირდება. ამისთვის კი ყოველწლიურად უფრო მეტი პუი უნდა შემოვიდეს, ვიდრე ბოლო წლებში შემოდის. ბოლო წლებში შემოსული პუი-ების მოცეულობა საშუალო მოცულობად შეიძლება მივიჩნიოთ. მართალია დღეს მსოფლიოში საინვესტიციო ბუმი არ არის, როგორც ეს იყო 2006-2008 წლებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მეტი ინვესტიციის მოზიდვა არ შეგვიძლია, თუკი უკეთესი ბიზნესგარემო გვექნება.

სხვა თანაბარ პირობებში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდისთვის საქართველოში წელიწადში მინიმუმ 3 მილიარდი დოლარის პუი უნდა შემოვიდეს. ამისთვის კი საჭიროა იმ გარემოებების გამოსწორება, რაც ჩვენს ბიზნესგარემოს აზიანებს. რთულად მოსაგვარებელია რუსეთის ფაქტორი, მაგრამ ისეთი ნაკლოვანებები, როგორებიც გვაქვს საკუთრების დაცვაში, დემოკრატიის ხარისხში და განათლებაშია გამოსწორებადია, თუკი ამის პოლიტიკური ნება იარსებებს.

დღევანდელი მეთოდოლოგიით, რომელსაც სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც იყენებს, პირდაპირ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია, თუ მისი წილი საწარმოს კაპიტალში 10 %-ზე მეტია. საწარმოს საკონტროლო პაკეტის ფლობა არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად ითვლება სესხებიც,

თუ ვალდებულებით საწარმოს აქტივები იტვირთება. ძირითადად, პირდაპირი ინვესტიცია ახალი ბიზნესის დაწყებას ან არსებულის გაფართოებას უკავშირდება, რაც პროდუქციის წარმოებისა და დასაქმების ზრდას იწვევს. ეკონომიკის ზრდა კი სწორედ პროდუქციის წარმოების ზრდას ნიშნავს.

ქვეყნის შიდა ბიზნესგარემოს გარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა მსოფლიოში, ინვესტიციების განხმორციელებელ ქვეყნებში. მაგალითად, 2007 წლამდე მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სწრაფად იზრდებოდა და 2007 წელს 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. 2009 წლის მსოფლიო კრიზისის დროს 56 %-ით შემცირდა. 2010-2011 წლებში იზრდებოდა, მაგრამ 2012 წლიდან მცირედი შემცირების ტენდენცია აქვს.

2007 წელს მსოფლიო ინვესტიციების ტრენდს საქართველოც არ ჩამორჩა და ქვეყანაში ინვესტიციების რეკორდული მოცემულობა - 2 მილიარდი დოლარი შემოვიდა. რუსეთთან ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო, 2008 წლის ბოლოდან ინვესტიციებმა იკლო და 2009 წელს 658 მილიონ დოლარამდე შემცირდა. 2010 წლიდან ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია აქვს და 2008-2016 წლების მაქსიმალურ მაჩვენებელს - 1.8 მლრდ დოლარს - 2014 წელს მიაღწია. 2014 წლიდან ინვესტიციების ზრდა მნიშვნელოვნად უკავშირდება ბუნებრივი აირის ახალი მილსადენის ,,შაფდენიზ 2''-ის მშენებლობას, რომლის ფარგლებშიც საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი პუი შემოვიდა.

საქართველოში შემოსული პუი-ების სტატისტიკა 1997 წლიდან მოიპოვება, საიდანაც ირკვევა, რომ ბოლო 20 წელიწადში (1997-2016) საქართველოში სულ 16.5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა - წელიწადში საშუალოდ 823 მლნ დოლარი. ბოლო 20 წლის მონაცემებით საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია - 2.2. მლრდ დოლარით. შემდეგ მოდის გაერთიანებული სამეფო 1.8 მილიარდი

დოლარით, მესამეზე ნიდერლანდებია 1.6 მლრდ დოლარით. აზერბაიჯანი და ბრიტანული ინვესტიციები ძირითადად საქართველოზე გამავალ ნავთობსა და გაზის მილსადენებს უკავშირდება, რომლებიც აზერბაიჯანულ ნავთობსა და გაზს თურქეთთან აკავშირებს.

ცხადია, საინტერესოა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკის რომელი სექტორები იზიდავენ ყველაზე მეტად. თუ ისევ ბოლო 20 წლის სტატისტიკას ვნახავთ ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა - 3.2 მლრდ დოლარი. ეს სექტორი პირველ ადგილს მილსადენ ტრანსპორტში ჩადებული ინვესტიციების გამო იკავებს. მეორე ადგილზეა ენერგეტიკა - 1.8 მლრდ დოლარით. ენერგეტიკის სექტორში ჩადებული ინვესტიციები ძირითადად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას უკავშირდება. 1997 – 2016 წლებში ყველაზე ცოტა პუი სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა - 134 მლნ დოლარი, წლიურად საშუალოდ 6.7 მლნ დოლარი.

გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ისტორიულად სხვადასხვა რეგიონებსა და ეკონომიკის გზაჯვარეიდინს წარმოადგენდა იგი იყო და არის ერთგვარი ჯაჭვის რგოლი ევროპასა და აზიას შორის. საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული გამოცოცხლება 2003 წლიდან გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების შემდეგ შეინიშნება, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებით და შეფასებებით დასტურდება. იმ ფაქტს, რომ საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა მსოფლიოში ინვესტიციების მოსაზიდად აღიარებს არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო, არამედ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რაც უფრო სარწმუნოს და სანდოს ხდის მის რეპუტაციას, თუმცა კვლავ გვაქვს ამ დრომდე დაუძლეველი გამოწვევები, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და მთავრობის კვალიფიკაციზე და

პასუხისმგებლობის დონეზე. მსოფლიო ბანკის მიხედვით, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყევლაზე ღია ქვეყანაა უცხოური კაპიტალისთვის.

საქართველოს არ გააჩნია არავითარი შეზღუდვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით ისეთ სექტორებში, როგორიც არის სამთო მრეწველობა, ნავთობისა და გაზის სფერო, სოფლის მეურნეობა, ვაჭროპბა, მსუბუქი წარმოება, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, საბანკო სექტორი, დაზღვევა, ტრანსპორტი, მედია, მშენებლობის სექტორი, ტურიზმი და ჯანდაცვა, მაშინ, როდესაც მრავალი ქვეყანა კონკრეტულ სფეროებს მთლინად ან ნაწილობრივ თავისი გავლენის ქვეშ აქცევს: საფრანგეთი უკრაინა, ბელორუსია - მედიაზე, რუსეთი დაზღვევაზე, სომხეთი სოფლის მეურნეობაზე, თურქეთი ელექტროენერგიაზე და ა.შ.

მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველო მსოფლიოში ლიდერია უცხოური შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოთათვის რეგისტრაციის სიმარტივით და მასზე დახარჯული დღეების მიხედვით, ისე როგორც რუანდასა და კანადაშია და სულ 4 სამუშაო დღეა ამისთვის საჭირო, ამშინ, როდესაც ჩინეთში აღნიშნულ პროცედურას სამ თვეზე მეტი ვადა ესაჭიროება, ანგოლაში კი 263 დღე.

საქართველოში ინვესტიციის განსახორციელებლად, სამტავრობო ორგანოების მხრიდან ინვესტიციის წინასწარი დამტკიცება საჭირო არ არის, რაც ინვესტიციის მოზიდვის კუთხით უამრავ სირთულეს აცილებს ბიზნესმენებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა საქართველომ საგადასახადო - საბაჟო მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება, რამაც ჯამში 84 % შეადგინა. ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფორმირება და სპეციალური კანონის მიღება.

საქართველოში უპი-ების მოზიდვის მიზნით მიღებულ იქნა კანონი ,,თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ''. თავისუფალი ზონების ფუნქციონირება ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებას, ჩნდება მოტხოვნა კვალიფიციურ კადრებზე და ჯამში ეს დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ინდუსტრიულ ზონებში სხვადასხვა ტიპის შეღავათები მოქმედებს, მაგალითად საგარეო სავაჭრო შეღავათები, რომლებიც საბაჟო-სატარიფო ლიბერალიზაციას და არასატარიფო შეზღუდვების არარსებობას ეფუძნება, ასევე ფისკალური შეღავათები, რომლებიც პირრდაპირი გადასახადების ლიბერალური სისტემის არარსებობასთანაა დაკავშირებული, საფინანსო შეღავათები, რომლებიც სხვადასხვა ფორმის სუბსიდებს, შეღავათიან საკრედიტო სისტემას, მიწათა და შენობით სარგებლობის საიჯარო გადასახადის შემცირებულ განაკვეთებს და სხვა შეცავს, სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვების არარსებობა, ადმინისტრაციული შეღავათები, რომელთა მიზანია ეკონომიკური აგენტების რეგისტრაციის, ანგარიშგების სისტემის, სავიზო რეჟიმის გამარტივება და სხვა.

მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, აუცილებელია საქართველოში ფოკუსირება მოხდეს და მნიშვნელოვნად გამახვილდეს ყურადღება იმ ძირითად პრინციპებზე, რომელიც ინვესტორებისთვის მიმზიდველია, კერძოდ, სასურველ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ ფონსა და მის სტაბილურობაზე, კერძო საკუთრების დაცვასა და კანონის უზენაესობაზე, ბიუროკრატიის ხარისხზე, მომუშავეთა კვალიფიკაციაზე, ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. აღნიშნული ფაქტორები მიუთითებს რეციპიენტი ქვეყნის სასურველ საინვესტიციო გარემოზე ან პირიქით მის არახელსაყრელობაზე. აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ანტიკორუფციული კანონმდებლობის და მისი მუხლების სრულყოფილად ფუნქციონრიება და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპის დაცვა.

საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სახელწმიფოს მხრიდან მაქსიმალურად დიდი ოდენობით ინვესტიციების განხორციელება ადამიან-კაპიტალის განვითარების მიმართულებით, რაც სტიმულს მისცემს ქვეყნის აღორძინებას და კეთილდღეობას. აუცილებელია გაძლიერდეს განათლების სისტემა და გაგრძელდეს რეფორმები განათლების სისტემაში.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში საქართველოს კონკურენტები ჰყავს დსთ-ს ქვეყნების სახით, რომლებსაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების საქმეში მეტი წარმატება აქვთ. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. მაკროეკონომიკური მდგომარეობა (მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ინფლაცია, ვალუტის გაცვლითი კურსი);

2. ექსპორტზე ორიენტაციის დონე (წარმოებული პროდუქციის წილი, რომელიც მიდის ექსპორტში);

3. სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები;

ქვეყნის საინვესტიციო სფეროში ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები ჯერ-ჯერობით მცირეა, მაგრამ ისინი იზრდება, განსაკუთრებით უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე. ამიტომ ამ სახსრების ეფექტიანად გამოყენების საჭიროება ფართოვდება. ამ დროს, სამწუხაროდ, ინვესტიციური პროცესები ეკონომიკის ცალკეულ სფეროში ჯერ კიდევ ქაისურად მიმდინარეობს.

სახელმწიფოსა და მთავრობის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემო შექმნა. ადგილობრივ მეწარმეთასაინვესტიციო აქტივობის

გასაზრდელად მნიშვნელოვანია შემდეგიღონისძიებების გატარება: აუცილებელია დაჩქარდეს არსებულ საწარმოთარესტრუქტურიზაციის პროცესი, საჭიროა საბანკო სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება, უნდა შეიქმნას საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსელი. ამისათვის, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზაა მოსამზადებელი. საინვესტიციო გარემო საქართველოში უცხოელი ინვესტორების ფართოდ მოზიდვის თვალსაზრისით არახელსაყრელია. ეს განპირობებულია პოლიტიკური არასტაბილურობით, ეკონოკიკური კრიზისით, და სხვა პირობებით, რაც განსაზღვრავდა საქართველოსათვის დაბალი რეიტინგის მინიჭებას.

საინვესტიციო გარემოს შედარებითი შეფასების ისტორია 30 წელზე მეტს არ ითვლის. ამ სფეროში ერთ-ერთი პირველი კვლევა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის წარმომადგენლებმა შეასრულეს. შეფასების საფუძვლად მათ აიღეს საექსპერტო შკალა, რომელიც შემდეგ მახასიათებლებს მოიცავდა: საკანონმდებლო პირობები უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის, კაპიტალის გადატანის შესაძლებლობები, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, პოლიტიკური ვითარება, ინფლაციის დონე, ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობები და ა.შ.

ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის Heritage Foundation-ის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში საქართველომ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით 100-ე ადგილიდან მე-102 ადგილზე გადაინაცვლა და საქართველოს ეკონომიკა „მეტად არათავისუფალ“ კატეგორიაში მოხვდა. იქვე აღნიშნულია, რომ გაუარესებულია ქვეყნის საინვესტიციო გარემო და გაზრდილია არალეგალური ვაჭრობა.

სავალუტო ფონდის მონაცემებით, ინვესტორები საქართველოს ბიზნესგარემოს ძირითადად აღიქვამენ, როგორც ბიუროკრატიულს, არაგამჭირვალეს და კორუფციისაკენ მიდრეკილს. საინვესტიციო გარემოს განვითარებას ხელს უშლის გაჭიანურებული ადმინისტრაციული პროცედურები, მეწერმეთათვის ქრთამის

გამოძალვის მცდელობები. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის დონე საეჭვოს ხდის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ Heritage Foundation -ის მიერ გაკეთებული დასკვნების გათვალისწინება სულმთლად უსარგებლო არ უნდა იყოს საქართველოს მთავრობისათვის, ვინაიდან ამ ინსტიტუტის გამოკვლევები ერთგვარი გზამკვლევია ინვესტორებისათვის.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ რეგიონში სადაც მხოლოდ სამი ქვეყანაა (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ყოველთვის იქნება მძაფრი კონკურენცია ინვესტიციებისათვის. ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება მოიზიდოს კაპიტალი საკუთარ ეკონომიკაში, ესაა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა. სომხეთმა ეს გაითვალისწინა და „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით 104-ე ადგილიდან 42-ზე გადაინაცვლა, ჩვენთან კი ყოველი ახალი რეფორმა ავტორიტარიზმის გამოძახილია.

როგორც ცნობილია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებაში ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არის ამერიკის შეერთებული შტატები და ევროგაერთიანების წევრი ქვეყნები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ხელს უწყობს როგორც მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს სრულ ინტეგრაციასა და ქვეყანაში სტაბილურობის განმტკიცებას, ასევე ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამ ქვეყნებისათვის საქართველო საინტერესოა, როგორც სტრატეგიული „ საინვესტიციო პლაცდარმი“ და პროდუქციის გარეთ გატანის მიმზიდველი პირობების მქონე ქვეყანა, რომელსაც მოსახლეობის მცირე რიცხოვნობის გამო მინიმალური ტევადობის შიდა ბაზარი აქვს.

საქართველოს მთავრობის მიერ 1994 წლიდან დაწყებული ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის გატარებამ, რომლის განხორციელებაშიც მას ხელს უწყობდნენ ისეთი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, როგორიც არის მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გარკვეული პოზიტიური შედეგი მოგვცა, მაგრამ ამ მიმართულებით მთავარი გასაკეთებელი ჯერ კიდევ წინაა.

ქვეყანაში ფასების სტაბილურობა და ინფლაციის დონის შემცირება აუცილებელი პირობებია, რაც სტიმულს აძლევს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას, ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლებას და ხელსაყრელ ფონს ქმნის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად.

საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხოციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავსსაქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ. კერძოდ, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელიინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

ამავე კანონის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისოორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ახორციელებს ინვესტირებას. აღსანიშნავია, რომ გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ უცხოელ ინვესტორს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება გააჩნია, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის

საფუძველზე - სასამართლოსგადაწყვეტილებით გაკოტრების, დანაშაულის ჩადენის ან სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს როგორც აკრძალვებსა დაშეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს, რაც აღნიშნული კანონის ფარგლებში გულისხმობს ინვესტიციის ხელშეუხებლობასა და კომპენსაციას ინვესტიციის ჩამორთმევისას. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.კომპენსაცია, რომელიც ინვესტიციის ჩამორთმევისას მიეცემა ინვესტორს,უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია ყოველგვარი შეფერხების გარეშე უნდა გაიცეს და უნდა მოიცავდეს იმ ზარალს, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად ფრიად პოზიტიურ გარემოს ქმნის ისეთი, მეტწილად ტერიტორიული გავრცელების არეალშეზღუდული დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა, შავი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობანი, სამთოქიმიური მრეწველობა (ძირითადად დარიშხანის წარმოება), მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეჩაიეობა,

მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად 102 კურორტით, 182 საკურორტო ადგილით, 15000 ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი 2 და პერსპექტიული 7 ეროვნული პარკით, 2400 მინერალური წყაროთი, რომელთა დღე-ღამური დებიტი 130 მლნ ლიტრია, სამკურნალო ტალახებით, კასტრული მღვიმეებით, კლიმატის მრავალფეროვნებით, მოსახლეობის მდიდარი გამოცდილებით ტერიტორიული მომსახურების დარგში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მაღალი დონით, არაორდინარული სტუმართმოყვარეობითა და განთქმული ქართული სამზარეულოთი.

სამწუხაროდ, ქვეყნის ეს მრავალფეროვანი პოტენციალი დღეისათვის გამოუყენებელია.

მსოფლიოს ენეგრტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სრტატეგიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირებისათვის მეტად ეფექტიან და უმოკლეს გზას კასპიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. საქართველო ესაზღვრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, კერძოდ, რუსეთსა და კასპიის ქვეყნებს; მეორე მხრივ, იგი ესაზღვრება თურქეთს, რომელიც ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან.

აღსანიშნავია სუფსის ტერმინალისა (საქართველოს შავი ზღვის სანაპირო) და აზერბაიჯანის „ადრეული ნავთობის“ ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი, რომელმაც საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა.

მეტად პერსპექტიულად არის მიჩნეული ტრანსკავკასიური გაზის მილსადენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლით გაზის ტრანპორტირებას თურქეთში. აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო შემოსავლებს,უზრუნველყოფს სამშენებლო სექტორის სწრაფად განვითარებას და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს პირდაპირიუცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

უნდა ღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს გააჩნდა იმ დროისათვის ერთ-ერთი კარგად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა. მართალია ყველაფერი ეს გათვლილი იყო იაფფასიან საბჭოთა ბაზარზე და შორს იყო ევროპული სტანდარტებისაგან, მაგრამ შესაძლებელს ხდიდა ნაკლები დანახარჯებით მომხდარიყო ტურისტული პოტენციალის ამოქმედება. რეალობაში კი მოხდა სულ სხვა რამ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურა ისე არ დაზარალებულა, როგორც ეს მოხდა საქართველოში. რეგიონული კონფლიქტების შედეგად ქვეყანამ მიიღო 300 ათასი იძულებით გადაადგილებული, რომლებიც 1993 წლიდან „დროებით“ მოთავსებული იქნენ სასტუმროებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და ტურისტთა განთავსების სხვა საშუალებებში, რითაც სრულად იქნა პარალიზებული და ფაქტობრივად განადგურებული ქვეყნის ტურისტული ინფრასტრუქტურა.

ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებში შეიქმნა ტურისტთა განთავსების ადგილების მწვავე უკმარისობა. მას თან დაერთო ქვეყნის ხელისუფლების იურისდიქციის გაუვრცელებლობა ტურიზმისათვის ისეთ მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, როგორიცაა აფხაზეთი. საქართველო აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში თავისი სრულიად პარალიზებული და განადგურებული ტურისტული ინფრასტრუქტურით.

1994-97 წლებში ტურიზმისა და კურორტების სექტორში განხორციელდა ტოტალური პრივატიზაცია. ამ პერიოდში ინვესტორების ოდენობა შედარებით მცირე იყო და მოხმარდა სახელმწიფოსაგან ტურისტული და საკურორტო ობიექტების გამოსყიდვას. 1998 წლიდან კი, როდესაც ქვეყანამ გააცნობიერა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების გადაწყვეტა, ანუ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე ითხოვდა ხანგრძლივ დროს, სახელმწიფომ ტურიზმის დარგში დაიწყო აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება.

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2003-2007 წლებში კერძო ინვესტიციებით განხორციელებულ იქნა მშენებლობა და ექსპლუატაციაში შევიდა 339 ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო და სასტუმრო სახლი 16704 ნომრით. ზემოაღნიშნული აშენებული სასტუმროების, აგრეთვერე კონსტრუირებული ტურისტული კომპლექსების შექმნაზე საერთო ჯამში, ექსპერტული შეფასებით მოზიდულია ინვესტიციები 222,8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.სწორედ ამ მოთხოვნის აუცილებლობით და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სასტუმროებში ლტოლვილთა შესახლებამ გამოიწვია ტურისტული ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება, სახელმწიფო ვალდებულია მკვეთრად გაუმჯობესოს თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ და გაატაროს ღონისძიებები

ინფრასტრუქტურაში ინვესტორებისათვის უპირატესი ხელშეწყობის გარემოს შექმნის მიზნით.

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორების ეფექტიანად გამოყენების დიდი გამოცდილება არსებობს, ასეთ გამოცდილებას დიდი როლის შესრულება შეუძლია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს, მითუმეტეს, რომ დავას არ იწვევს მისი დიდი პოტენციალი და ქვეყნის სამომავლო შესაძლებლობები ამ დარგის განვითარებაში.

სწორედ ამიტომ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვისათვის სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოყენებულ საჭირო მასტიმულირებელ ფაქტორთა შესწავლა და ანალიზი. მითუმეტეს, რომ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ამჟამად წამყვან როლს ასრულებენ მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში, განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ხსენებულ ხელშემწყობ ფაქტორთა სხვადასხვა კომბინაცია აქვთ გამოყენებული. ამასთან მიგვაჩნია, რომ ხელშემწყობიფაქტორები საქართველოში უმოკლეს ხანებში უნდა ამოქმედდეს, რათა ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას როგორც ახალ სასტუმროთამშენებლობისათვის, ასევე არსებული კომპლექსებისა და ნაგებობების რეაბილიტაცია-აღდგენისათვის.

სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ასევე შეუძლია ააღორძინოს სოფლის მეურნეობა, რომელიც ამჟამად თითქმის განადგურების პირასაა მისული. იმის გამო, რომ არ იქნა გამოკვეთილი ამ დარგში ქვეყნისათვის პრიორეტული მიმართულებები, ვერ მოხერხდა ვერც მევენახეობა-მეღვინეობის, ვერც მეჩაიეობის და ვერც სოფლის მეურნეობის სხვა რომელიმე პროდუქციის მოცულობის ზრდა, პირიქით, 1990-2004 წლების პერიოდში ზოგიერთი წლის განმავლობაში ხდებოდა მისი მნიშვნელოვანი შემცირება. ამავდროულად, ბოლო წლებში შეინიშნება სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების რაოდენობის ზრდა, რაც საბოლოო ჯამში მაინც არაა საკმარისი ამ დარგის

საბოლოო განვითარებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის 50% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული სფერო განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისათვის პრიორეტული უნდა გახდეს.

განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს მევენახეობა-მეღვინეობის სექტორი. უნდა ითქვას, რომ ყურძნის წარმოება 2004 წლიდან 2007 წლამდე თითქმის 9,2 %-ით შემცირდა (2004 წელს - 99,0 ათასი ტონა, 2007 წელს - 91,0 ათასი ტონა). ამავე დროს შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ძნელდება მოწეული პროდუქციის გადამუშავება. მეღვინეობის განვითარებას ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ის, რომ ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული ნაწარმით. სახელმწიფოს მხრიდან ღვინის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ მიმართული მკაცრი ღონისძიებები როგორც შიდაბაზარზე, ისე მის გარეთ უზრუნველყოფს თავიდან აცილებული იქნას ის სირთულეები, რაც ექმნება შემოდგომაზე მოწეული ყურძნის ჩაბარებას: ღვინის ქარხნები უარს ამბობენ ყურძნის მიღებაზე იმ უბრალო მიზეზით, რომ მეწარმისათვის არაა მომგებიანი ღვინის წარმოება, რადგან ვერ ხდება წარმოებაზე დახარჯული სახსრების ამოღება. სახელმწიფოს მხრიდან გატარებული შესაბამისი ღონისძიებები მნიშვნელოვანი სტიმული იქნება აღნიშნული სექტორის აღორძინების საქმეში.

იყო დრო, როდესაც საბჭოთა საბაზრო სივრცე გაჯერებული იყო ქართული ჩაის პროდუქციით. რამდენადაც მას ამ ბაზარზე თითქმის არ ჰყავდა კონკურენტი, მიუხედავად მისი დაბალი ხარისხისა, მაინც დიდი რაოდენობით იწარმოებოდა და შესაბამისად ჩაის პლანტაციებს დიდი ფართობი ეკავა (დაახლოებით 100 ათასი ჰექტარი). ასეთ ფართობზე გაშენებული ჩაის მოვლა დღევანდელი ტექნიკურ-მატერიალური ბაზით თითქმის შეუძლებელია, მაგრამ თუ მოხდება მისი ოპტიმიზაცია (ანუ, მისი შემცირება 20-25 ათას ჰექტრამდე), ჩაის მოყვანისათვის და გადამამუშავებისათვის ახალი ტექნოლოგიების

გამოყენება, შესაძლებელია ჩაის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რაც მას მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანს გახდის და გაზრდის მის ღირებულებას (ამჟამად 1 კილოგრამი ჩაი 60 ცენტი ღირს). ამის გაკეთება კი შეუძლებელია ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. რაშიც სახელმწიფოს დიდი როლი აკისრია.

მიუხედავად დანარჩენ დარგებში არსებული მძიმე სურათისა, ყველაზე ცუდი მდგომარეობა 2003 წელს ტრანსპორტის სფეროში იყო. თითქმის არ არსებობდა სატრანსპორტო მეურნეობა, ხოლო ის რაც იყო, არათუ არ პასუხობდა არავითარ სტანდარტს, არამედ მასში არ მოიძებნებოდა ცივილიზაციის ნიშნებიც კი. დღევანდელი მდგომარეობით ამ საფეროში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება, განსაკუთრებით საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტს შეეხება.

2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (2009-2018 წწ-ში)

ქვეყანაში კაპიტალის მიწოდებას და მასზე მოთხოვნას მრავალ მაკროეკონომიკურ პარამეტრზე აქვს გავლენა. მათ შორის არის სავალუტო კურსიც. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში ინვესტიციების როლი სტაბილური სავალუტო კურსის შესანარჩუნებლად საკმაოდ დიდია. როგორც ნებისმიერი სხვა აქტივის, სავალუტო კურსის ცვლილებასაც მიწოდება-მოთხოვნის კანონი განსაზღვრავს. ლარის მიწოდება-მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია მიმდინარე ანგარიში (current account), რომელიც მოიცავს სავაჭრო ანგარიშს ანუ ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შო-

რის სხვაობას, უხილავ ტრანსფერებს, მომსახურებას და ა.შ. განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილს (ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის და ბუნებრივი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნების გარდა) მიმდინარე ანგარიში დეფიციტური აქვს, რადგან ასეთ ქვეყნებში მოხმარება (consumption) ყოველთვის აღემატება მოსახლეობის მიერ დაგროვილ კაპიტალს (saving), ესე იგი, იმპორტი ჭარბობს ექსპორტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ ბაზარზე იზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე (საქართველოში ეს ვალუტა ძირითადად აშშ დოლარია, რადგან იგი წარმოადგენს როგორც ღირებულების საზომ ძირითად ვალუტას საექსპორტო და იმპორტირებულ საქონელზე. ის აგრეთვე ეროვნული ბანკის ძირითადი სარეზერვო ვალუტაა და კურსის დაბალანსება ბანკთაშორის ბირჟაზე სწორედ ამ ვალუტის საშუალებით ხდება) და მისი კურსი ლართან მიმართებაში იზრდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შექმნილია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და მონაცემები ასევე რეგიონების მიხედვით, რომელიც აშაკარად იძლევა ანალიზის და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მლნ.აშშ დოლარი					
წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IVკვ.
2009	664.2	113.3	177.1	179.0	194.8
2010	845.1	176.1	211.4	236.4	221.2
2011	1,129.9	222.5	270.9	306.8	329.6
2012	1,022.9	295.5	246.8	219.5	261.2
2013	1,020.5	290.3	216.4	265.8	248.0
2014	1,817.7	326.6	209.7	740.5	540.9

2015	1,665.6	335.0	483.0	515.9	331.7
2016	1,565.8	378.8	411.5	491.7	283.7
2017	1,894.5	393.6	355.8	622.8	522.2
2018	1,232.4	300.1	390.4	344.7	197.1

ცხრილი 1.

ქვეყნის შიდა ბიზნესგარემოს გარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა მსოფლიოში, ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყნებში. მაგალითად, 2009 წლის მსოფლიო კრიზისის დროს პუი 56%-ით შემცირდა. 2010-2011 წლებში იზრდებოდა, მაგრამ 2012 წლიდან მცირედი შემცირების ტენდენცია აქვს.

2010 წლიდან ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია აქვს და 2008-2016 წლების მაქსიმალურ მაჩვენებელს - 1.8 მილიარდ დოლარს - 2014 წელს მიაღწია. 2014 წლიდან ინვესტიციების ზრდა მნიშვნელოვნად უკავშირდება ბუნებრივი აირის ახალი მილსადენის „შაჰდენიზ 2“-ის მშენებლობას, რომლის ფარგლებში საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი პუი შემოვიდა.

საქსტატის ცნობით, უცხოური ინვესტიციები 2012 წელს წინა წელთან შედარებით18.3%-ით შემცირდა და 912 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.უცხოურმა ინვესტიციებმა 2012 წლის პირველ კვარტალში 261 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მეორე კვარტალში - 218 მლნ აშშ დოლარი, მესამე კვარტალში კი - 199 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. ინვესტიციები 2012 წლის ბოლო სამ თვეში 234 მლნ დოლარამდე გაიზარდა. ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკაში ჩაიდო და 179.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ენერგეტიკას დამამუშავებელი მრეწველობა მოჰყვება - 167.9 მლნ აშშ დოლარით, მესამე საფინანსო სექტორია - 162.6 მლნ აშშ დოლარიანი უცხოური ინვესტიციებით. საქსტატის

გამოქვეყნებულ მონაცემებში მოხვდა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 72.8 მლნ აშშ დოლარით, მშენებლობა - 41.8 მლნ აშშ დოლარით, უძრავი ქონება - 40.1 მლნ აშშ დოლარით, სასტუმროები და რესტორნები - 17.7 მლნ აშშ დოლარით; ჯანდაცვა - 17.6 მლნ აშშ დოლარით, სოფლის მეურნეობა - 16.1 მლნ აშშ დოლარით და სამთომოპოვებითი მრეწველობა - 4.9 მლნ აშშ დოლარიანი ინვესტიციებით.

საქსტატის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მოცულობა 2012 წელს გერმანიიდან შემოვიდა - 138.8 მლნ აშშ დოლარი, შემდეგ გაერთიანებული სამეფო მოდის - 93.6 მლნ აშშ დოლარი; თურქეთი - 81.1 მლნ აშშ დოლარი; აზერბაიჯანი - 59 მლნ აშშ დოლარი; ლუქსემბურგი - 42 მლნ აშშ დოლარი; საუდის არაბეთი - 39.5 მლნ აშშ დოლარი; კვიპროსი - 38.7 მლნ აშშ დოლარი; ჩინეთი - 36.1 მლნ აშშ დოლარი და ნიდერლანდები - 35.4 მლნ აშშ დოლარი.

2013 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 914 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობიდან ყველაზე დიდი წილი ენერგეტიკის სექტორმა მიიღო - 2013 წელს 197 მილიონი, რც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 21%-ა, ხოლო 2012 წელს 179 მილიონი, ანუ მთლიანი მოცულობის 19%. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვა ნაკადების მსხვილი მიმღებები წარმოების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის და ფინანსური სექტორები . ინვესტიციების ყველაზე მსხვილი ნაკადი ნიდერლანდებიდან შემოვიდა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 21% შეადგინა; სიდიდით შემდეგი ქვეყნები იყვნენ ლუქსემბურგი - 17%, აზერბაიჯანი - 16%, ჩინეთი - 11% და თურქეთი - 8%.3

საქსტატის ცნობით, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 35 პროცენტით აღემატება.

[3] https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Economic_2014_Report_Geo_WEB.pdf

2014 წელს განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდებია (26 პროცენტი), მეორე და მესამე ადგილებზე აზერბაიჯანი (24 პროცენტი) და ჩინეთია (15 პოცენტი). ამ სამი უმსხვილესი ქვეყნის წილმა მთლიან ინვესტიციებში 65 პროცენტი შეადგინა.

სექტორულ ჭრილში გასულ წელს განხორციელებული ინვესტიციების 27 პროცენტი, 343 მლნ აშშ დოლარი, ტრანსპროტსა და კავშირგაბმულობაში დაიხარჯა. მეორე ადგილზეა მშენებლობა, 295 მლნ აშშ დოლარით, და მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა,174 მლნ აშშ დოლარით.

2015 წელს საქართველოში $1.3 მილიარდის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) შემოვიდა, რაც 2014 წელთან შედარებით 23%-ით ნაკლებია. ინვესტიციების შემცირება 2015 წელს საქართველოს ათი უმსხვილესი საინვესტიციო დარგიდან ხუთში მოხდა.

ინვესტიციების შემცირება 2015 წელს ექსპორტისა და ფულადი გზავნილების შემცირებასთან ერთად ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

სექტორების მიხედვით შემცირება შეიმჩნევა ისეთ სექტორებში, როგორიცაა:

- ენერგეტიკა - $100 მილიონი - 52%-იანი კლება
- დამამუშავებელი მრეწველობა - $91 მილიონი - 55%-იანი კლება
- მშენებლობა -$129 მილიონი - 59%-იანი კლება
- უძრავი ქონება - $48 მილიონი - 65%-იანი კლება
- სასტუმროები და რესტორნები - $61 მილიონი - 51%-იანი კლება

ინვესტიციების ზრდა შეიმჩნევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში (+27%), სოფლის მეურნეობაში (+59%), საფინანსო სექტორსა (+40%) და ჯანდაცვის სექტორში (+80%).4

ქვეყნების მიხედვით კი პირველ ადგილზე აზერბაიჯანია ($542 მილიონი), მეორე ადგილზე კი -გაერთიანებული სამეფო ($198 მილიონი).

საქსტატის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში 1 645 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 5%-ით (81 მლნ დოლარით) მეტია 2015 წლის მონაცემებზე. ცალკე აღებულ 2016 წლის მეოთხე კვარტალში ინვესტიციები 1%-ით (3 მლნ დოლარით) გაიზარდა.

2016 წლის მონაცემებით საქართველოში ყველაზე მეტი პუი აზერბაიჯანიდან შემოვიდა - 578 მლნ დოლარი, მეორე ადგილზე თურქეთია 272 მლნ დოლარით, ხოლო მესამეზე გაერთიანებული სამეფო 121 მლნ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით, ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (645 მლნ დოლარი), ენერგეტიკაში (203 მლნ დოლარი) და მშენებლობაში (163 მლნ დოლარი).



[4] http://www.tabula.ge/ge/story/105500-2015-tsels-saqartveloshi-shemosuli-ucxouri-investiciebi-23-it-shemcirda

2017 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) 16%-ით გაიზარდა და მან $1.86 მილიარდი შეადგინა. ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, საიდანაც საქართველოში $482 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. $279 მილიონით მეორე ადგილზე თურქეთია.

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეული:

1. აზერბაიჯანი - $482 მილიონი, კლება წინა წელთან 14%
2. თურქეთი - $279 მილიონი, ზრდა წინა წელთან 36%
3. გაერთიანებული სამეფო - $250 მილიონი, ზრდა წინა წელთან 109%
4. ნიდელრანდები - $224 მილიონი, ზრდა წინა წელთან 257%
5. ჩეხეთი - $133 მილიონი, ზრდა წინა წელთან 108%
6. აშშ - $74 მილიონი, ზრდა წინა წელთან 31%
7. არაბეთის გაერთიანებული საემიროები - $62 მილიონი, ზრდა წინა წელთან 84%
8. პანამა - $54 მილიონი, კლება წინა წელთან 29%
9. ჩინეთი - $52 მილიონი, ზრდა წინა წელთან 89%

ინვესტიციების ზრდა 97%-იანი შეიმჩნევა საფინანსო სექტორში, სადაც 2017 წელს $300 მილიონი ჩაიდო. ასევე მაღალი ზრდაა სასტუმროების სექტორში, სადაც $160 მილიონი ჩაიდო. ინვესტიციები 60%-ით გაიზარდა ენერგეტიკის სექტორში შედეგად მთლიანმა ინვესტიციამ $188 მილიონი შეადგინა. 113%-ით გაიზარდა ინვესტიციები სამშენებლო სექტორში და მისმა მოცულობამ $294 მილიონი შეადგინა.

მკვეთრი შემცირებაა სოფლის მეურნეობაში, აქ წინა წელს $3 მილიონ დოლარი ჩაიდო, რაც 2016 წელთან შედარებით 60%-ით ნაკლებია. 21%-იანი შემცირებაა ტრანსპორტის

სექტორში, სადაც $488 მილიონი ჩაიდო, ასევე 35%-იანი შემცირებაა კავშირგაბმულობის სექტორში, სადაც $38 მილიონი ჩაიდო. [5]

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს 1 232.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.9 პროცენტით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).[6]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყველაზე მეტი ინვესტიცია 2018 წელს საქართველოში აზერბაიჯანიდან და გაერთიანებული სამეფოდანშემოვიდა. ამავე მონაცემების თანახმად, 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 35 პროცენტით შემცირდა.ამასთან, 2018 წლის მეოთხე კვარტალში ინვესტიციების მოცულობა ყველაზე დაბალ ნიშნულზეა (197.1 მილიონი დოლარი) 2010 წლის პირველი კვარტლის (176.1 მილიონი დოლარი) შემდეგ.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით, საფინანსო სექტორი ლიდერობს (277.9 მილიონი დოლარი), მეორე ადგილზე ტრანსპორტია (209.9 მილიონი დოლარი), მესამეზე ენერგეტიკა (157.2 მილიონი დოლარი).

[5] http://www.tabula.ge/ge/story/130659-saqartvelos-umsxvilesi-investori-qveknebis-ateuli
[6] https://www.marketer.ge/2018-ucxouri-investicia-winaswari/

ცხრილი3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით

„საქსტატის“ ინფორმაციით, დამამუშავებელ მრეწველობაში 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 44%-ით აღემატება 2017 წლის მონაცემებს და 13%-ით 2016 წლის მონაცემებს.



ცხრილი2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით

აზერბაიჯანიდან ინვესტიციების მოცულობამ 240 მილიონი დოლარი შეადგინა, გაერთიანებული სამეფოდან 203 მილიონი დოლარი, ნიდერლანდებიდან 167.9 მილიონი დოლარი, აშშ-დან 103.7 მილიონი დოლარი, პანამიდან 74.7 მილიონი დოლარი, ჩეხეთიდან 72.3 მილიონი დოლარი, ჩინეთიდან 65.4 მილიონი დოლარი, სამხრეთ კორეიდან 63.2 მილიონი დოლარი, რუსეთისან 60.1 მილიონი დოლარი, სხვა ქვეყნებიდან – 181.5 მილიონი დოლარი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით

ათასი აშშ დოლარი

რეგიონი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	664,190.7	845,100.1	1,129,948.0	1,022,927.8	1,020,538.7	1,817,689.7	1,665,557.6	1,565,837.6	1,894,491.3	1,232,447.9
მათ შორის:										
ქ. თბილისი	349,177.0	586,197.1	782,498.8	767,692.0	742,220.9	1,366,796.0	1,328,324.7	1,335,897.4	1,471,655.7	966,765.7
აჭარა	99,386.4	58,935.5	95,849.6	56,287.5	83,137.5	169,240.7	206,539.8	99,601.3	193,797.3	35,073.7
კახეთი	4,193.9	-4,810.3	2,759.9	16,563.2	11,028.6	15,796.3	16,118.6	3,903.8	6,179.7	-136.4
სამცხე-ჯავახეთი	-459.4	23,026.8	12,228.8	26,370.0	51,729.7	74,258.9	31,536.1	30,807.2	39,002.7	32,282.1
ქვემო ქართლი	49,765.0	66,685.4	146,882.6	41,648.3	16,309.2	55,650.8	21,159.8	28,990.7	64,359.0	85,087.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	100,357.2	25,339.7	70,148.3	61,922.4	57,229.8	93,648.2	51,209.5	35,050.1	50,558.5	43,266.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	...	...	...	...	...	...	...	34,492.4	49,424.8	42,844.2
გურია	...	...	...	...	...	...	...	557.7	1,133.6	422.2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61,058.0	80,126.5	5,325.2	40,024.0	59,124.4	27,951.1	25,701.8	28,052.2	60,488.7	47,926.9
იმერეთი	...	...	...	...	...	...	...	27,991.0	58,072.0	47,128.3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	...	...	...	...	...	...	...	61.1	2,416.7	798.7
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	712.7	9,599.4	14,254.6	12,420.4	-241.4	14,347.8	-15,032.7	3,535.0	8,449.8	22,182.6
შიდა ქართლი	...	...	...	...	...	...	...	4,541.4	-689.8	14,558.9
მცხეთა-მთიანეთი	...	...	...	...	...	...	...	-1,006.4	9,139.6	7,623.7

ცხრილი 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში კომპონენტების მიხედვით ათასი აშშ დოლარი						
	2013	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	1,020,538.7	1,817,689.7	1,665,557.6	1,565,837.6	1,894,491.3	1,232,447.9
მათ შორის:						
სააქციო კაპიტალი	534,272.7	1,151,934.9	1,281,547.5	1,798,246.8	1,187,856.5	699,867.7
რეინვესტიცია	276,495.1	322,872.1	157,679.3	334,095.2	657,505.8	558,812.0
სავალო ვალდებულებები	209,770.9	342,882.8	226,330.8	-566,504.4	49,129.0	-26,231.8

ცხრილი 5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით.

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ერთობლივ კომპანიებში

3.1. ერთობლივი კომპანიების განვითარება საქართველოში

მისასალმებელია, რომ საქართველოს ღიად დეკლარირებული აქვს კურსი ინვესტიციებთან მიმართებით და მაქსიმალური მზაობაა საკანონმდებლო დონეზე გამოხატული, რათა მიმზიდველი გახდეს ქვეყნის საინვესტიციო გარემო. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს აღმოვაჩინე 2005 წლის საქართველოს მთავრობის განკარგულება ერთ-ერთი ერთობლივი საწარმოს შესახებ, სადაც წარმოდგენილია სახელმწიფოს მოსაზრება, რომ საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინიციატივას, რომ საქართველო-ავსტრიის ერთობლივ საწარმოში მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილი გადაეცეს სახელმწიფოს.



საქართველოს
საკანონმდებლო მაცნე

დოკუმენტები | შესვლა | რეგისტრაცია | ქარ

მთავარი | ჩვენ შესახებ | დახმარება | საჯარო ინფორმაცია | გამოკითხვა | 2 40 50 50

უკან დაბრუნება

შპს ,,საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო ,,მეტეხის" შესახებ	
დოკუმენტის ნომერი	149
დოკუმენტის მიმღები	საქართველოს მთავრობა
მიღების თარიღი	22/04/2005
დოკუმენტის ტიპი	საქართველოს მთავრობის განკარგულება
გამოქვეყნების წყარო, თარიღი	საქართველოს მთავრობის განკარგულებების კრებული, 4, 22/04/2005
სარეგისტრაციო კოდი	000000000.00(0).000.000000

საქართველოს მთავრობის

განკარგულება № 1 49

2005 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

შპს ,,საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო ,,მეტეხის" შესახებ

1. მიღებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინადადება შპს „ საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო ,,მეტეხის" ქ. თბილისის მერიის კუთვნილი წილის (85 პროცენტი) სახელმწიფოსათვის გადაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკება ქ. თბილისის მერიასთან შპს „ საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო ,,მეტეხის" მერიის საკუთრებაში არსებული წილის (85 პროცენტი) სახელმწიფოსათვის გადაცემის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ზ. ნოღაიდელი**

ძალზედ მნიშვნელოვანი მისია აკისრია სს ,,საპარტნიორო ფონდს'', რომელიც არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი და დაფუძნებულია 2011 წელს. ფონდს მინიჭებული აქვს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო FITCH-ის რეიტინგი ,,BB'', რაც საქართველოს საკრედიტო რეიტინგის თანასწორია. ფონდი შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე და დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით, რომელიც გამოხატულია კაპიტალში თანაინვესტირებით, სუბორდინირებული სესხით და სხვა ფორმით.

„საპარტნიორო ფონდის" საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. აქტივების მართვა - ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2017 წელს 750 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი
- სს თელასი - 24.5% წილი

საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგენენ „საპარტნიორო ფონდის" საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს.

2. საინვესტიციო საქმიანობა - ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა , წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

დაფინანსებისთვის განიხილება მხოლოდ კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები, რომლებსაც გამოცდილი პარტნიორები ან დაქირავებული სპეციალიზირებული ოპერატორები მართავენ.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსირებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში

იღებს მონაწილეობას როგორც Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით. ფონდი პროექტში თავისი მონაწილეობის პარალელურად, ასევე ხელს უწყობს პროექტებისთვის უპირატესი დაფინანსების მოპოვებას კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან.დაფინანსება ფონდის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და ზოგიერთ შემთხვევაში სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არა-კონვერტირებადი) სესხების მეშვეობით.

ფონდის თანამონაწილეობა პროექტებში არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის 50%-ს. დაფინანსებასთან ერთად, ფონდი პარტნიორს და მმართველ გუნდს ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში.

არაერთი პროექტის მხარდამჭერი და პარტნიორია ფონდი, მათ შორის ყველასთვის ცნობილი პროექტის - ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის, რომელიც არის საქართველოს საპარტნიორო ფონდის და კორეული კომპანია „K-Water"-ის ერთობლივი პროექტი. პროექტი ითვალისწინებს რეზერვუარის ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას იტალიური კომპანიის ,,სალინის'' მონაწილეობით. პროექტი ხორციელდება სვანეთში, მესტიაში, კერძოდ ჭუბერში, საუბარია 280 მგვტ-ზე და მისი საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 1 მილიარდ აშშ დოლარს.

„საპარტნიორო ფონდისა" და ესპანელი პარტნიორების ერთობლივი პროექტი, რომელიც ქართული უნიკალური მთის ღორისგან პირველად საქართველოში ჰამონის წარმოებასა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი ულტრათანამედროვე საწარმოს შექმნას გულისხმობს. მდებარეობა: რაჭა. ინვესტიციის საერთო მოცულობა - 12 მლნ აშშ დოლარი.

ასევე ძალიან საინტერესო პროექტია „საპარტნიორო ფონდის", ქართული კომპანია „არქი ჯგუფისა" და გერმანული კომპანია „ქსელა გრუპის" ერთობლივ პროექტი. ის

საქართველოში მაღალი ენერგოეფექტური იტონგის სამშენებლო გაზო-ბლოკების წარმოებას გულისხმობს. პროექტის ღირებულება შეადგენს 15 მილიონ აშშ დოლარს.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტია „საპარტნიორო ფონდისა“ და ებრაული კომპანია „Elbit Cyclon-ის“ ერთობლივი პროექტი თბილისში. „ელბიტი“ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე კვოტირებული, მსოფლიოში აღიარებული მწარმოებელია და „ბოინგის“, „ეარბასის“, „ბომბარდიერის“, ასევე, მსოფლიოში ცნობილი სხვა მსხვილი კომპანიების პარტნიორია. პროექტის მიზანია შეიქმნას სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა თბილისში და პროექტის ღირბეულება შეადგენს 85 მლნ ამერიკულ დოლარს.

ერთობლივი საწარმოები /კომპანიები უპი-ების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც ორი ან მეტი კომპანია იწყებს ბიზნეს საქმიანობას და თანხმდება, გაინაწილონ მოგება და ზარალი. ერთობლივი საწარმო აღნიშნავს ისეთ ერთობლივ საქმიანობას, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ამგვარ მხარეებს ერთობლივ მეწილეებს უწოდებენ.

ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა-ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე. ამგვარ მხარეებს ერთობლივ ოპერატორებს უწოდებენ.

პრაქტიკაში ერთობლივი საწარმოს შექმნა, ხშირად, კომპანიებს შორის უწყინარ თანამშრომლობად აღიქმება. თუმცა, შინაარსობრივად ერთ-ერთ რთულ და კომპლექსურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

„ერთობლივი საწარმო“ წარმოადგენს ტერმინს, რომელიც თავის თავში სულ ცოტა კომპანიათა შორის ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შესახებ შეთანხმებას

მოიაზრებს. ერთობლივი საქმიანობა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც კანონით აკრძალული არ არის.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ჰორიზონტალური, ვერტიკალური და კონგლომერატული ერთობლივი საწარმო. ჰორიზონტალური ერთობლივი საწარმო სახეზეა, როდესაც ახალი კომპანია იმავე პროდუქციულ ბაზარზე საქმიანობს, რომელზეც მისი დამფუძნებელი კომპანიები საქმიანობდნენ, ან საქმიანობენ. ვერტიკალური ერთობლივი საწარმო სახეზეა, როდესაც ახალი კომპანია პროდუქციის წარმოების სხვა დონეზე საქმიანობს, ვიდრე ერთობლივ საწარმოში მონაწილე პარტნიორები. კონგლომერატულ ერთობლივ საწარმოზე კი საუბარია მაშინ, როდესაც ერთობლივი საწარმოს საქმიანობის სფეროს შეხება არ აქვს დედა კომპანიების საქმიანობასთან.

ერთობლივი საწარმო შეიძლება სხვადასხვა ფორმით ჩამოყალიბდეს. ძირითადად, ერთმანეთისგან განასხვავებენ კაპიტალურ (Equity Joint Venture) და სახელშეკრულებო ერთობლივ საწარმოს (Contractual Joint Venture - CJV). ამ უკანასკნელს შეიძლება კონსორციუმიც ეწოდოს . სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმოს დროს, კომპანიათა თანასაქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით შემოიფარგლოს, რომლის შედეგადაც ახალი საწარმო არ იქმნება. თანამშრომლობას საფუძვლად უდევს ხელშეკრულება, რომელსაც „კონსორციუმის ხელშეკრულება“ ან „ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულება“ ეწოდება. კონსორციუმის დროს, ერთობლივი საწარმო არსებობს მხოლოდ მხარეთა თანასაქმიანობის მიზნებისათვის, მესამე პირებთან ურთიერთობაში კი თითოეული მხარე თავისი სახელით მოქმედებს. ამის საწინააღმდეგოდ, არსებობს ისეთი თანამშრომლობის ფორმები, რომლის საფუძველზეც მხარეები ქმნიან ისეთ ერთობლივ საწარმოს, რომელიც მესამე პირებთან ერთიერთობაში გამოდის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი - ე.წ. „კაპიტალური ერთობლივი საწარმო“ (Equity Joint Venture - EJV). შესაბამისად, მხარეების მიერ არჩეული სამართლებრივი ფორმით, ხდება ახალი საწარმოს დაფუძნება, რომელსაც დამფუძნებელი კომპანიები

ერთობლივად ფლობენ და აკონტროლებენ. აღნიშნული ერთობლივი საწარმოს დაფუძნების დროს წილები დედა კომპანიებს შორის შეიძლება არათანაბრად იყოს გადანაწილებული. თუმცა, პრაქტიკაში ხშირია ორი კომპანიის მიერ პარიტეტული ერთობლივი საწარმოს დაფუძნება, როდესაც თითოეულ კომპანიას ერთობლივი საწარმოს თანაბარი 50-50% წილი ეკუთვნის.

ერთობლივი საწარმო შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ტრანზაქციების საფუძველზეც. მაგალითად, უკვე არსებული კომპანიის რესტრუქტურიზაციის შედეგად. კერძოდ, ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანისათვის შვილობილ კომპანიაში 50%-იანი წილების მიყიდვით, რომლის შედეგადაც მხარეები თანხმდებიან, რომ შვილობილი კომპანია გარდაიქმნება ერთობლივ საწარმოდ და მოექცევა უკვე ორი დედა კომპანიის კონტროლის ქვეშ.

მიუხედვად იმისა, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტო ჯერ კიდევ ახალ შექმნილ სააგენტოდ ითვლება, მას უკვე მიღებული აქვს გამოცდილება ისეთი კონცენტრაციის განხილვაზე, რომელსაც მოიცავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონცენტრაცია ეხებოდა ერთობლივი საწარმოს დაფუძნებას, რომელიც ბაზარზე წარმოიშობოდა, როგორც ახალი ეკონომიკური სუბიექტი.ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს , რომ შესაბამის მუხლში კანონის ტექსტი შეიცავს სიტყვას „შექმნა“.აქ „შექმნა“ - ერთობლივი საწარმოს, როგორც ახალი კომპანიის მხოლოდ დაფუძნებას გულისხმობს, თუ, ამ ტერმინის ქვეშ სხვა რამეც, მაგალითად, კომპანიის რესტრუქტურიზაციის საფუძველზე ერთობლივი საწარმოს ფორმირებაც შეიძლება იქნას გაგებული? დღეისათვის არსებული პრაქტიკა კითხვაზე პასუხს არ იძლევა, რადგან ხსენებული გადაწყვეტილება დღემდე ერთადერთია, რომელიც სააგენტომ ერთობლივი საწარმოების კონცენტრაციის შესახებ მიიღო. ამასთან, არც კანონის ტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმნიშვნელოვნად ითქვას, თუ როგორი ერთობლივი საწარმოს ფორმირება გაიგება

როგორც კონცენტრაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ალბათ, საქართველოს მიერ აღებული რეფორმების კურსიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ კონკურენციის სააგენტომ ბოლომდე გაიზიაროს ევროპის კომისიის მიდგომა „ფუნქციური ერთობლივი საწარმოსადმი“, თუმცა, თუ როგორ განვითარდება პრაქტიკა ამ მიმართულებით მომავალი გვიჩვენებს. ამ გამოწვევის წინაშე ადრე თუ გვიან კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანო აუცილებლად დადგება.

დღეისათვის, საქართველო ჯერ კიდევ იმყოფება იმ ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, კონკურენტული კულტურის ჩამოყალიბება პრიორიტეტულია. აღნიშნული სულ მცირე გულისხმობს, ბაზრის მონაწილეების, ეკონომიკური აგენტებისა და ზოგადად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ადრესატების გათვიცნობიერებას იმ საკითხებში, თუ რა არის დასაშვები და რა არის აკრძალული კონკურენციის კანონმდებლობის თანახმად. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზების პროცესი დაემთხვა ევროკავშირში კონკურენციის სამართლის განახლების პროცესს. განახლება გულისხმობს კონკურენციის სამართლის ეკონომიზაციისკენ სვლას, როდესაც ეკონომიკურმა ანალიზმა დიდი მნიშვნელობა მოიპოვა კონკურენციის სამართლის სფეროში არსებული დარღვევების შეფასების ნაწილში. ქართული კანონმდებლობის, ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით, დღეს მოქმედი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველო პირდაპირ შეუერთდა ამ პროცესს. შესაბამისად, არის რიგი საკითხები, რომელიც per se აკრძალულია კონკურენციის სამართლის შესაბამისად, როგორც ეკონომიკურად გაუმართლებელი ქმედებები. ერთობლივ საწარმოში მონაწილეობა დაკავშირებულია მრავალ რისკ ფაქტორთან და შეიძლება ითქვას, რომ „ბეწვის ხიდზე“ გადის დასაშვებ და სრულიად აკრძალულ ქმედებებს შორის. შესაბამისად, ერთობლივ საწარმოში მონაწილე

კომპანიები სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებულები წინასწარ იმ შედეგების შესახებ თუ რა შეიძლება მოჰყვება მათ კონკრეტულ ქმედებას.

საქართველოში არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხშირად მხარეთა შორის დადებული შეთანხმებების არსებობა, რომელიც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს ემყარება, აღიქმება, როგორც უკვე დაცვის მექანიზმი, რაც მხარეებს კონკურენციის სამართლის ნორმების გავრცელების არეალის გარეთ აყენებს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში აღნიშნული შეთანხმებები მოიცავენ ისეთ ნორმებს, რომლებმაც შეიძლება დიდ ჯარიმებამდე მიიყვანოს კომპანია . შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს და ზედმოწევნით იქნეს შესწავლილი ის შეთანხმება და შეთანხმების ტექსტი, რომელიც საფუძვლად უდევს ერთობლივ საწარმოს. ერთობლივი საწარმოს შეფასება კარტელის ჭრილში, ერთ-ერთი კომპლექსური საკითხია. უმთავრესად მნიშვნელოვანია კომპანიებს შორის თანასაქმიანობის46 ფორმის სამართებრივი შეფასება. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ ერთობლივი საწარმოში მონაწილეობამ შესაძლებელია წამოჭრას დამფუძნებელ კომპანიებს შორის კარტელის არსებობის ეჭვი.47ერთობლივი საწარმოს დაფუძნების შესწავლის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ რამდენად რჩებიან დედა კომპანიები ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კომპანიებად. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი საწარმოს დაფუძნება მიზნად ისახავს ან ხელს უწყობს დედა კომპანიებს შორის კონკურენციული ქმედებების კოორდინირებას, ხდება ამ კოორდინაციის კონცენტრაციის შეფასების პროცესშივე შესწავლა.

კონკურენციის საერთაშორისო ქსელმა (ICN), რომლის წევრსაც საქართველოც წარმოადგენს, 2017 წელს კონცენტრაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია თითოეული წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა შეიცავდეს ერთობლივი საწარმოსა და ერთობლივ საწარმოში წილების ყიდვის ისეთი განმარტების, რომელიც ადვილად გასაგებს გახდის,თუ ერთობლივი საწარმოში მონაწილეობის რა

ფორმა გაიგება კონცენტრაციად ამა თუ იმ კანონმდებლობის მიხედვით. ამ მიმართულებით, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ პირდაპირ შეიცავს ჩანაწერს „ერთობლივი საწარმოს“ არსებობის შესახებ და ამასთან, პრაქტიკიდან შესაძლებელია რეალური მაგალითის მოყვანა.

3.2. ერთობლივ კომპანიებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში

შეზღუდული რესურსების პირობებში უმნიშვნელოვანესია, რომ ქვეყანას გააჩნდეს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც საბოლოო ჯამში უნდა ქმნიდეს ხელსაყრელ და მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს უცხოელი (პოტენციური) ინვესტორებისთვის. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ საქართველოში მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული გვაქვს პრიორიტეტები და ზუსტად ვიცით უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა, გვაქვს ევროპულ სამართალთან მეტ-ნაკლებად სინქრონიზებული საკანონმდებლო სივრცე და მიმდინარეობს რეფორმები ამ კუთხით.

როგორც ვიცით, უცხოური ინვესტიცია თავის მხრივ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადგილობრივი პარტნიორი კომპანიის განვითარებისთვის, შესაბამისად თუკი გვსურს ვისაუბროთ როლზე, ჩვენ უპი-ს კლასიკური გაგებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

აქვე მსურს ეკონომიკური ფაქტორის გარდა, ქვეყნის უსაფრთხოებაზეც ვახსენო მოკლედ და აღვნიშნო, რომ რუსული და სხვა რეალური საფრთხეების კოსერვაციამდე ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და სტაბილურობისთვის, მშვიდობისთვის უმნიშვნელოვანესია მეტი უცხოური ინვესტიციის არსებობა ქვეყნის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციის როლს პარტნიორი ადგილობრივი კომპანიის საქმიანობაში, ცხადია ის განუზომლად არსებითია, რადგან ამ

ურთიერთთანამშრომლობის პირობებში გარდა ფინანსური რესურსების გაზრდისა, ადგილი აქვს გამოცდილების გაზიარებას, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ხელმისაწვდომობას და შესაძლოა უკვე არსებულ თუ პოტენციურ ბაზრებზე შესვლის ან დომინირების მეტ შანსს.

უცხოური ინვესტიციები ქვეყანაშიც და ერთობლივ კომპანიებშიც ერთმნიშვნელოვნად ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია გახდეს ერთობლივ კომპანიაში დასაქმების ადგილების ზრდის და ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მთავარი პირობაც. ხშირ შემთხვევაში, ამ დროს მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშრად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და პროგრესული მენეჯმენტი თავის მხრივ, გლობალურ ბაზრებზე თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაში სხვა სექტორებზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადადინების ეფექტია. ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ პროდუქტიულობის ზრდა თანამედროვე, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე ზრდის ადგილობრივი კომპაიების R&D ინიცატივებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის ერთობლივი კომპანიის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

ლოგიკურია თუკი ვიტყვით, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არ არის უბრალოდ საერთაშორისო კაპიტალის ტრანსფერი, არამედ საწარმოს გაფართოებაა თავისი ქვეყნიდან საზღვარგარეთ მასპინძელ ქვეყანაში, რომელიც მოიცავს კაპიტალის ნაკადებს, თანამედროვე ტექნოლოგიას, სამეწარმეო უნარს და მენეჯერულ პრაქტიკას მასპინძელ ეკონომიკაში, სადაც ადგილობრივ ფაქტორებთან კომბინირებულად

იწარმოება საქონელი და მომსახურება. მასპინძელი ქვეყნისთვის და კომპანიისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მაქსიმალური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ის რეციპიენტ ქვეყანას/კონკრეტულ კომპანიას გადასცემს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას, ახორციელებს ადამიანური კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერას, ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით, ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე, აფართოებს საექსპორტო ბაზრებს, უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას.

კაპიტალის შემოდინება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს მოაქვს მასპინძელ ქვეყანაში არსებული კომპანიისთვის. მას აქვს პირდაპირი ზეგავლენა როგორც ქვეყნისთვის ისე კონკრეტული კომპანიისთის, რადგან კაპიტალს მოაქვს ახალი ფინანსური რესურსები, რომელიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი რეციპიენტი ქვეყნისათვის ან კონკრეტული კომპანიისთვის . მეტი ფული ნიშნავს ირიბად დამატებით ინვესტიციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა განიცდის ზრდას. არაპირდაპირი ეფექტი კაპიტალის შემოდინებისა არის ტექნოლოგიების შემოდინების გვერდითი მოვლენები, დასაქმების ზრდის გვერდითი მოვლენები და გაზრდილი კონკურენცია. კაპიტალისა და ტექნოლოგიების ინექცია ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებას.

იგი გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემას, რომელსაც აქვს პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და კონკრეტული პარტნიორი კომპანიის შესაძლებლობებზე.

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევის შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

უპი-ები წარმოადგენს კაპიტალის საერთაშორისო ტრანზაქციის / მოძრაობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას, რომელიც დღეს განიხილება, როგორც ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთი არსებითი მამოძრავებელი ძალა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უპი-ები მთლიანობაში თავის არსში გულისხმობს არარეზიდენტი კომპანიების / ფიზიკური პირების კაპიტალდაბანდებას საწარმოებში, უძრავ ქონებაში და სხვა აქტივებში.

მიუხედავად საკითხის მიმართ რიგ შემთხვევებში კრიტიკისა, დღესდღეისობით, მსოფლიოს ყველა ქვეყანა სხვადასხვა გზით ცდილობს საკუთარ ქვეყანაში მიიწვიოს მეტი არარეზიდენტი კომპანია თუ ფიზიკური პირი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიზნით, რამდენადაც იგი პირდაპირ ასოცირებულია ქვეყნებში ეკონომიკის განვითარებასთან, ზრდასთან და პროგრესის მიღწევასთან. უპი-ები პირდაპირ ასოცირებულია განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი კომპანიების შესაძლებლობასთან, რათა მათ შეძლონ საწარმოო უნარების გაზრდა, დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ამ გზით აწარმოონ მსოფლიო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე წვდომის შესაძლებლობა, სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რის გამოც ქვეყნები ინტენსიურად ცდილობენ მოიზიდონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.

მიუხედავად იმისა, რომ ემპირიულ კვლევებში ჩვენ ვხედავთ არაერთგვაროვან შეფასებებს, მიუხედავად ამისა, საფუძვლიანად მიმაჩნია, რომ უპი-ები მკვეთრ ხაზს უსვამს მიმღები ქვეყნებისთვის დადებით ზეგავლენას, რომელიც გამოიხატება მწარმეობლურობის გაზრდაში, ტექნოლოგიების გადაცემაში და ხელმისაწვდომობაში, ახალი საწარმოო პროცესების დანერგვაში,

კომპანიის მენეჯმენტის პრაქტიკის გაუმჯობესებაში, ნოუ-ჰაუსადმი ხელმისაწვდომობაში, დასაქმებული პერსონალის კვალიფიცური უნარების ამაღლებაში და სხვა. ყველა ეს ფაქტორი კი თავის მხრივ ერთად აღებული პოზიტიურად ზემოქმედებს მიმღები/მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე და ხელს უწყობს მის მოდერნიზებას.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკური მოღონიერებისთვის ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან განხორციელებულ უნდა იქნას სწორი ნაბიჯები, რომელიც უნდა გახდეს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის მოტივატორი პოტენციურ ინვესტორებში.

საჭიროა, ქვეყანაში მოხდეს ეკონომიკური უსაფრთხოების, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიის ფორმირება და ეკონომიკური პოლიტიკის და სხვა ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნას ზემოაღნიშნული სტრატეგია.

საქართველოში, რომელიც ხასიათდება ადგილობრივი ბაზრის არასაკმარისი ტევადობით, უცხოელი ინვესტორების ინტერესიც შესაბამისად დაბალია, ეს კი პირდაპირი მესიჯია რათა გადადგმულ იქნას იმ ტიპის ნაბიჯები, რომელიც იაფი რესურსის ან სხვა სპეციალური პირობების თვალსაზრისით პოტენციურ ინვესტორებს მისცემს კაპიტალდაბანდების მაღალ ინტერესს. კვლევებითა და თეორიული მასალების

გაცნობით, ცხადი გახდა, რომ საქართველოში ჯეროვანი იქნება, თუკი უცხოური ინვესტიციების დაბანდება განხორციელდება დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა მიმართული და არსებობს მაღალი ვარაუდი, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოხდეს მისი მომგებიანი რეალიზება.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაბანდება საქართველოში პრიორიტეტულ დარგებში არსებითად შეუწყობს ხელს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

თუკი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაბანდების ხელშემწყობი ღონისძიებები წაახალისებს პოტენციურ ინვესტორებს ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში განახორციელონ ინვესტირება, ეს გზა მიგვიყვანს უცხოური ვალუტის ზრდასთან, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში არსებითად უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის ბალანსის დადებით სალდოს.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებების მიღების დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მიმღები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. აქ მოიაზრება ისეთი დეტერმინატები, როგორიც არის მიმღები ქვეყნის ბაზრის მასშტაბი და შრომის ხარჯები. ბაზრის მასშტაბები და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარები, ამასთან ერთად ამავე ბაზრის განვითარების დინამიკა მნიშვნელოვანი ფაქტორია, ისე, როგორც შრომის ხარჯები, რადგან წარმოების პროცესის გადატანა შრომის დაბალი დანახარჯების მქონე ქვეყნებში ხშირად ხდება ინვესტორის პოზიტიური გადაწყვეტილების საფუძველი.

არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციებმა, ე.წ. ეკონომიკურმა გუნდმა ფოკუსირება და მთელი ძალისხმევა მიმართოს იმ ძირითად პრინციპებზე, რომელიც ინვესტორებისთვის მიმზიდველია, მათ შორის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ ფონზე და მის სტაბილურ განვითარებაზე. უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომ კერძო საკუთრება იყოს მაქსიმალურად

უზრუნველყოფილი, ხელშეუხებელი და დაცული, ქვეყანაში იყოს მართლწესრიგი და კანონის უზენაესობა, დაბალი ბიუროკრატია და მინიმიზებული კორუფციის დონე, მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ფუნქციონირებდეს ყოველგვარი პოლიტიკური და კლანური მართვისგან თავისუფალი მართლმსაჯულების სისტემა, სადაც მეწარმის ენა ადვილად ესმის მოსამართლეს და ჩაურეველი და სრულიად თავისუფალია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს ის ფაქტორებია, რომლებიც მიუთითებს რეციპიენტი ქვეყნის სასურველ საინვესტიციო გარემოზე ან ამ ფაქტორების არ არსებობა ან დაბალი ხარისხით არსებობა მის არახელსაყრელობაზე იმეტყველებს.

დადგენილია, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობის დონე ნაკლებად მიმზიდველია, როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ისე ეროვნული ბიზნესის გარემოს თვალსაზრისით. ამ დროს კი გლობალური ბაზარი ითხოვს და საჭიროებს გლობალური პროდუქტებით მომსახურებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევ საქართველომ გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. სასურველი იქნება, თუკი ინსტიტუციები და კერძო სუბიექტები იზრუნებენ მაღალტექნოლოგიურ და სპეციალიზებულ დარგებში გლობალურ კომპანიებთან პარტნიორობის ფორმირებაზე.

საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს და პრიორიტეტი მიენიჭოს იმ დარგებს, რომელიც გახდება ინდუსტრიული განვითარების საფუძველი. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ძალისხმევა მიმართულ იქნას ინოვაციური და ექსპორტზე ორიენტირებულ ინდუსტრიაზე, სადაც გამოყენებული იქნება ინოვაცია და მოწინავე ტექნოლოგიები, მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს გონივრული და თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება, რაც თავის არსში გულისხმ

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიტმანი ლ., ჯონკი მ. ინვესტირების საფუძვლები. ქართული თარგმანი შესრულებულია ლ. ქოქიაურის მიერ. თბ.: თსუ (მეორე გამოცემა). 2007.
2. გელაშვილი მ., საინვესტიციო პოლიტიკა, თბ.,2012.
3. სიჭინავა ა., ინვესტიციები (თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა). თბ., 2010.
4. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ., 2010.
5. ჯღანჯღავა ქ., ,,უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)“, თბ., 2012.
6. კვარაცხელია დ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდეციები, შედეგები და პერსპექტივები, ჟურნ. ,,სოციალური ეკონომიკა“ N2, 2007.
7. საქართველოს მთავრობის განკარგულება N149, 2005 წლის 22 აპრილი

8. Moran, T.H., Foreign Direct Investment and Development, Institute for International Economics, Washington, DC.,1998

9. Denisia V., Foreign Direct Investment Theories: An Overview of the Main FDI Theories, European Journal of Interdisciplinary Studies, 2010

10. Benasek V., "Foreign Direct Invetsment Methodology Approach",2000

11. Tokunada, M., Iwasaki, I.(2017). The Determinants of Foreign Direct Investment in Transition Economies: A Meta- analysis. J. The World Economy, Wiley Online Library

12. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2016). Foreign Direct Investment in Georgia. International Journal of Arts and Science. Vol. 9. №2,

13. https://www.geostat.ge/

14. https://www.investopedia.com/terms/f/fdi.asp.

15. https://www.onpulson.de/lexikon/auslaendische-direktinvestition/